



აკაკი თერეთელის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორები

The Rectors of Akaki Tsereteli
State University



აკაკი თერტლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ორგანიზაცია
სამართლო

იმპრენატურა ცენტრის კუტბრივი

აკაკი თერტლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რეპტორობი

The Rectors of Akaki Tsereteli
State University

ეძღვნება უნივერსიტეტის 80 წლის იუბილეს
The book is dedicated to the 80th anniversary
of Akaki Tsereteli State University.

ქუთაისი
2013

აკაკი თერტლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლო

378.9 (147.5) - 2 10.11
უნივერსიტეტის სამართლებრივი განკუთხებების დოკუმენტები
წინამდებარე კრებულის მიზანია წარმოაჩინოს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა სამეცნიერო-პრაკტიკული ური და საზოგადოებრივი საქმინაობა მისი დაარხებიდან დღემდე.
რამდენადაც უნივერსიტეტი აერთიანებს ყოფილ აკაკი წერეთლის სახელობის, ტექნიკურ და სებტემბრიკულ უნივერსიტეტებს, მოთხოვნილია ეველა იმ პიროვნების შესახებ, რომლებიც ამ უმაღლეს სასწავლებლებს ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა პერიოდში.

პერიოდი ასევე, შესულია საზოგადოებისათვის აქამდე უცხობი მასალები ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველი დირექტორების შესახებ.

უნივერსიტეტის ისტორია ამ სახით ქვეყნდება პირველად.

რედაქტორი

გიორგი მჭედლიძე

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, გელათის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ISBN 978-9941-448-94-2



© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ: 24 00 21

E-mail:atsugamomcemloba@gmail.com



საქართველოს კარლაზების
ეროვნული გიგანტები

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს საქართველოს ერთ-ერთი დიდი უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლო-სამეცნიერო სასწავლებელია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამათა ფართო სპექტრით, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ იგი აურითანებს ყოფილ აკაკი წერეთლის, ტექნიკურ და სუბტროპიკულ სახელმწიფო უნივერსიტეტებს, რომელთაც აქამდე განვითარების წარმატებული გზა დამტკიცდებლად განვლენა.

საქართველოს სარ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის 7 ივნისის დადგენილებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გაუქმდა და მის ბაზაზე ოთხი დამოუკიდებელი უმსაღლესი სასწავლებელი-ინსტიტუტი შეიქმნა: 1. სამედიცინო; 2. პედაგოგიური; 3. საფინანსო – კოოპერაციული და 4. სამართლისა.

საქართველოს სარ ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ 1933 წლის 8 იანვრის დადგენილებით აღადგინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო პედაგოგიური ინსტიტუტი ამავე დადგენილებით ქუთაისში გადავიდა და ამავე წლის 13 თებერვლიდან აქ განაგრძო ფუნქციონირება. ინსტიტუტმა 1933-37 წლებში აბელ ენუქიძის, ხოლო 1937-1990 წლებში ალექსანდრე წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტატუსით იარსება და ამ სწავლის განმავლობაში დასავლეთ საქართველოს მაღალ-კვალიფიციურ პედაგოგიურ კადრებს აძლევდა.

1990 წლს ქუთაისის ალ.წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაიქმნა, რაც ლოგიკური დაგვირგვინება იყო იმ დიდი საქმიანობისა, რომელსაც ინსტიტუტი წარმატებით ეწეოდა თავისი არსებობის თთოქმის ექვით ათწლეულის განმავლობაში.

ქუთაისის ნიკო ჭესხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ოფიციალური სტატუსი 1973 წლის 23 სექტემბერს მიენიჭა. იგი საზემოდ 1974 წლის 1 სექტემბერს გაიხსნა, 1977 წელს კი აკადემიკოს ნიკო ჭესხელიშვილის სახელი მიენიჭა. ინსტიტუტი ამზადებდა ინჟინერ-ტექნიკოსებსა და ინჟინერ-ტექნოლოგებს.

1992 წლის 21 სექტემბერს ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს უნივერსიტეტის სტატუსი მიენიჭა და იგი

ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის როგორც აღნიშნული იყო წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტორია ამ რვა ათწლეულის წინათ დაიწყო და ამჟამად იგი შესანიშნავი ტრადიციებით გამორჩეული უმაღლესი სასწავლებელია საქართველოში, რომელმაც ღირსეული აღვილი დაიმკვიდრა ქართველი ერის კულტურულ-ინტელექტუალური და განათლების სფეროს განვითარების საქმეში.

საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №39 დადგნილების თანახმად, განხორციელდა საჯარო სამსახურთლის ოურიდიული პირების - ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რეორგანიზაცია მათი გაერთიანების გზით. საგანმანათლებლო დაწესებულებას სტატუსად განესაზღვრა უნივერსიტეტი და ეწოდა „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის სწავლული კადრებით მომსახურების მოტივით 1952 წელს მის ისტორიულ, გოგრაფიულ და ეკონომიკურ ცენტრში ქუთაისში გაიხსნა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. 1959 წელს იგი გადატანილ იქნა ტიპურ სუბტროპიკულ ზონაში (აფხაზეთი, სოხუმი) და ეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი(სსმი). იგი საქართველოს ადამიერი სირკის სუბტროპიკული ზონისათვის (კრასნოდარის მხარე, აზერბაიჯანი) ამზადებდა სწავლულ აგრონომებს, ინჟინერ-დევორატორებს, მელიორატორებს, ინჟინერ-მექანიკოსებს, ინჟინერ-ტექნიკოლოგებსა და სოფლის მეურნეობის ეკონომისტებს.

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში აფხაზეთში განვითარებული მოვლა ნების გამო 1993 წლიდან ინსტიტუტმა ბინა კვლავ ქუთაისში დაიდო და მას დახმარების ხელი გაუწია აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა.

2003 წლიდან მას მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი და ეწოდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი (სსმსუ), ხოლო 2010 წლის 1 სექტემბრიდან (საქართველოს მთავრობის №266 დადგენილება) - სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. 2010 წლის 16 ნოემბრის საქართველოს მთავრობის №353 დადგენილებით საჯარო სამართლის ოურიდიული პირი - სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფი



ფო უნივერსიტეტი მიუერთდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექსტს.

დღვეანდელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტისა და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლმექვიდრეა.

რვა ათეულ წელზე მეტი წნის განმავლობაში ჯერ ინსტიტუტის, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტის დირექტორობის, რექტორობის პატივი წილად ხვდა 25 პიროვნებას, რომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად არაერთგავროვანი და ზოგჯერ უმძიმესი საზოგადოებრივი ვითარებისა, მათ დიდი პასუხისმგებლობით ატარეს რექტორობის მძიმე ტვირთი, ღირსეულად ემსახურნენ ახალგაზრდების პროფესიონალებად ჩამოყალიბების საქმეს და მაქსიმალურად გამოიყენეს საკუთარი პოტენციალი მეცნიერების, ფუნდამენტური, დარგების განსავითარებლად.

საზოგადოდ, უნივერსიტეტმა აღიარება პპოვა პედაგოგიური, საიუნიონო - ტექნიკური, საინჟინრო-ტექნოლოგიური და სუბტროპიკული მეურნეობის კადრების მომზადებაში.

ამამად უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შემდეგი ფაკულტეტები: 1. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა; 2. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა; 3. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა; 4. პედაგოგიური; 5. ჯანდაცვის; 6. საიუნინრო-ტექნიკური; 7. საიუნინრო - ტექნოლოგიური; 8. აგრარული; 9. საზღვაო- სატრანსპორტო ფაკულტეტი ფოთში.

აღნიშნულ ფაკულტეტებზე უნივერსიტეტი ბაკალავრებს ამზადებს 47, მაგისტრებს – 50 და დოქტორანტებს – 28 მიმართულებით.

უნივერსიტეტს გააჩნია სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - 18 სასწავლო კორპუსი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, საკუთარი გამომცემლობა, სამეცნიერო უურნალი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაბბე“ და გაზეთი „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ამ დროისათვის უნივერსიტეტში სულ სწავლობს 9000-მდე სტუდენტი. მათი სწავლებისა და აღზრდის პროცესს ემსახურება 412 პროფესიონალი (სრული, ასოცირებული, ასისტენტ პროფესიონალი) და 300 სპეციალური ხელშეკრულებით მოწვეული მაღალაკადემიური სპეციალისტი.

უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ქუთაისის აკაკი წერეულის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროდ მისი საერთაშორისო ურთიერთობები იქცა. უნივერსიტეტის ურთიერთობები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებთან: აშშ (მისური-კოლუმბიის, მისური როლას და მონტანას უნივერსიტეტები), დიდი ბრიტანეთი (უელსის, ტირის უნივერსიტეტები, ვინორის საერთაშორისო ინსტიტუტი), საფრანგეთი (ვერსალის უნივერსიტეტი, ბორდოს პედაგოგიური ინსტიტუტი), ირანის ისლამური რესპუბლიკა (გილანის უნივერსიტეტი), თურქეთის რესპუბლიკა (სამსუნის 19 მაისის, ანკარის, არდაპანის უნივერსიტეტები), ისრაელი (აშკელონის უნივერსიტეტი), კანადა (დალჰაუზის უნივერსიტეტი), ბელგია (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), გერმანია (ჰაიდელბერგის, დიუსელდორფის, კასელის, გეტინგენისა და ბამბერგის უნივერსიტეტები), პოლონეთი (ვარშავის უნივერსიტეტი), ლატვია (რიგის, დაუგავაპილსის უნივერსიტეტები), ლიტვა (კაუნასის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი), ბელგია (ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი), ჰოლანდია (ჰარტიაპის ახალი უნივერსიტეტი), უკრაინა (ხმელნიცკის ეროვნული უნივერსიტეტი, ნეჟინის სახელმწიფო უნივერსიტეტი), აზერბაიჯანი (სამქოდიცინო უნივერსიტეტი), ყაზახეთი (ყასპიის ტექნოლოგიის სახელმწიფო უნივერსიტეტი), საქართველო-თურქეთი (კავკასიის უნივერსიტეტთა კავშირი) და სხვ.

უმაღლესი სასწავლებელი თანამშრომლობს საქართველოში აქტივიტებულ აშშ, დიდი ბრიტანეთის, გერმანიის, საფრანგეთის, კანადის, ბელგიის, პოლონეთის, ირანის, თურქეთის, ისრაელის, საბერძნეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინისა და ლატვიის საელჩოებთან. ამასთანავე საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობები აქვს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ACCELS, IREX, DAAD, TASIS, სამქალაქო განათლების პროექტი GEP, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოება, გოეთეს ინსტიტუტი და სხვა.

უნივერსიტეტი ჩაერთო ERAZMUS MUNDUS II-ის საგანმანათლებლო პროგრამებში: ALRAKIS 1, ALRAKIS 2, IANUS, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობას ევროპის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ამ შესაძლებლობით უკვე არაერთმა სტუდენტმა და პროფესორ-მასწავლებელმა ისარგებლა.

საქართველოს ამ ერთ-ერთი უმაღლესი უმაღლესი სკოლის თანამშრომლები თვალსაჩინო წარმატებას აღწევენ საერთაშორისო თუ

ეროვნულ სამეცნიერო საგრანტო კონკურსებში. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაფინანსდა 30-მდე პროექტი როგორც შოთა რუსთაველის ეროვნული, ასევე უცხოური TEMPUS-ის, DAAD-ის, USATD-ის, NATO-სა და შვეიცარიის სამეცნიერო ფონდების მიერ. უკვე რამდენიმე წელია გაიცემა შიდასაუნივერსიტეტო გრანტებიც.

უნივერსიტეტში მუშაობენ უცხოური უნივერსიტეტებიდან მოწვეული პროფესორები და სწავლობენ უცხოელი მოქალაქეები პოლონეთიდან, თურქეთიდან, ჩინეთიდან, რუსეთიდან, ნიგერიიდან, კამერუნიდან, ერაყიდან, ლატვიასა და ეგვიპტიდან.

ასეთ წარმატებამდე აწსეუ თანდათან მიღიოდა. მისი დღევანდელი სახისა და ავტორიტეტის ჩამოყალიბებაში დიდი ძალისხმევა ჩადეს რექტორებმა, რომლებიც სხვადასხვა პერიოდში წარმართავდნენ როგორც ცალკეული, ასევე გაერთიანებული უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობას.

დაარსების დროიდან უნივერსიტეტს (ინსტიტუტებს) ხელმძღვანელობდნენ:

ქ'ეთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი: 1. ღენტორ რუხაძე (1933); 2. დავით გვაზავა (1933-1935); 3. ალექსანდრე პაპავა (1935-1936); 4. დავით დოლიძე (1936-1937); 5. ნესტორ მექვაბიშვილი (1937); 6. ლუკა ჭელიძე (1937-1962); 7. ივანე გოშხეთელიანი (1962-1965); 8. კონსტანტინე მექველია (1965-1973); 9. გივი ჩხაიძე (1974-1978); 10. ოთარ ბაკურაძე (1978-1986); 11. ნანული კაკაურიძე (1986-1990).

ქ'ეთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 1. ნანული კაკაურიძე (1990-1991); 2. მაგალი თოლდუა (1991-1995); 3. ავთანდილ ნიკოლეიშვილი (1995-2004); 4. გიორგი ონიანი (2005-2006).

ქ'ეთაისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი: 1. ნოდარ ვალიშვილი (1973-1989); 2. არჩილ კოსტავა (1989-1992).

ქ'ეთაისის ნიკო მუხებელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი: 1. არჩილ კოსტავა (1992-2002); 2. ამირან ხვადაგიანი (2002-2006).

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 1. გიორგი გოლეთიანი (1952-1957); 2. ივანე გიორგიშვილი (1957-1973); 3. რევაზ ჩხაიძე (1973-1975); 4. ნაპოლეონ ქარქაშაძე (1975-1990); 5. ვახტანგ ფრუიძე (1990-1997); 6. გურამ კი-

ლასონია (1997-2005); 7. ნუგზარ ებანოიძე (2005-2009); 8. როლანდ კოპალიანი (2009-2010).

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი: 1. გიორგი ანდონი (2006 -2010); 2. გიორგი ლავთაძე (2010 წლიდან დღემდე).

წიგნის მიზანია წარმოაჩინოს მათი სამცუნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საქმინაობა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ დღემდე ფართო საზოგადოებისათვის არ იყო ცნობილი მასალები ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორების: ღენტორ რუხაძის, დავით გვაზავას, ალექსანდრე (საშა) პაპავას, დავით დოლიძისა და ნესტორ მექაბიშვილის შესახებ, რამდენადაც ისინი რეპრესირებულნი იყვნენ 1937 წელს. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ყოფილ პარტიულ არქივებში მოვიკვლიერ მათი ცხოვრების შესახებ არსებული, ზოგიერთი ეპიზოდი, რომლებსაც პირველად ვთავაზობთ მკითხველს.

ავტორები სიამოვნებით გაიზიარებენ როგორც საქმიან შენიშვნებსა და წინადადებებს, ასევე მათთვის აქმდე უცნობ ინფორმაციას.

The Rectors of Akaki Tsereteli State University



აკაკი თსერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტი
AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

Akaki Tsereteli State University is one of the largest institutions of higher education with a wide variety of Bachelor, Master and Doctoral programs owing to the fact that it has united the former Akaki Tsereteli University, the Technical University and the University of Subtropical Agriculture, which previously followed the paths of independent development.

Under the resolution of the Central Executive Committee and the Council of People's Commissars of the Georgian SSR, passed on June 7, 1930, Tbilisi State University was abolished, which led to the establishment of four independent higher education institutions on its basis – medical, pedagogical, financial-cooperative and law institutes.

Under the resolution of the Central Executive Committee and the Council of People's Commissars of the Georgian SSR, passed on January 8, 1933, Tbilisi State University was restored, moving the Pedagogical Institute to Kutaisi. The institute started functioning on February 13 the same year. In 1933-1937 the institute existed under the name of A. Enukidze Pedagogical Institute and in 1937-1990 – under the name of A. Tsulukidze Pedagogical Institute. Throughout these years it prepared highly qualified specialists for West Georgia.

In 1990 the higher education institution was transformed into Kutaisi Akaki Tsereteli State University, thus crowning the great accomplishments of by the institution during six decades of its existence.

Kutaisi Niko Muskhelishvili Polytechnic Institute was given the official status on September 23, 1973. The opening ceremony was held on September 1, 1974 and in 1977 it was named after Academician Niko Muskhelishvili. The Institute prepared technical engineers and technological engineers.

On September 21, 1992 Kutaisi N. Muskhelishvili Polytechnic Institute was given the status of university and was called Niko Muskhelishvili Kutaisi State Technical University.



As mentioned above, the history of Akaki Tsereteli State University started eight decades ago and nowadays it is known for its outstanding traditions and significant contribution to the cultural, intellectual and moral education of Georgian nation.

Under Resolution #39 passed by the government of Georgia on February 23, 2006, the legal entities – Kutaisi Akaki Tsereteli State University and Kutaisi Niko Muskhelishvili State Technical University – were reorganized by merging them. The higher education institution was given the status of university and was called Akaki Tsereteli State University.

In 1952 with the motivation of contributing to the development of the subtropical agriculture in West Georgia, the Agricultural Institute was established in its historical, geographic and economic centre – Kutaisi. In 1959 the institute was moved to subtropical zone (Abkhazia, Sukhumi) and was called the Georgian Institute of Subtropical Agriculture. It prepared agronomists, landscape engineers, meliorators, mechanical engineers, technological engineers and agricultural economists for the subtropical zone of the former USSR (Krasnodar Krai, Azerbaijan).

In 2003 it was given the status of university and was called the Georgian State University of Subtropical Agriculture. On September 1, 2010 (Governmental Resolution # 266) it was named Sukhumi State Educational University of Subtropical Agriculture. On November 16, 2010, on the basis of Governmental Resolution #353, the legal entity – Sukhumi State University of Subtropical Agriculture was integrated into Akaki Tsereteli State University.

Present-day Akaki Tsereteli State University is a legal successor of Kutaisi Akaki Tsereteli State University, Kutaisi Technical University and the Georgian State University of Subtropical Agriculture.

Over eight decades 25 people were honoured to be the rectors of the institute first, and the university afterwards. Despite dire social circumstances at times, they worthily carried the heavy burden of

responsibility and did their best to contribute to the development of a wide range of sciences.

Generally, the university has gained recognition due to its achievements in preparing professionals in Pedagogical Sciences, Technical Engineering, Technological Engineering and Subtropical Agriculture.

Currently, there are the following faculties at the university:

1. Faculty of Business, Law and Social Sciences;
2. Faculty of Arts;
3. Faculty of Exact and Natural Sciences;
4. Faculty of Pedagogics;
5. Faculty of Medicine;
6. Faculty of Technical Engineering;
7. Faculty of Technological Engineering;
8. Agrarian Faculty;
9. Faculty of Maritime Transport in Poti.

These faculties provide 47 Bachelor, 50 Master and 28 Doctoral programs.

The university has appropriate material-technical base: 18 buildings, an academic library, a publishing house, the academic journal - "The Herald of Akaki Tsereteli State University" and the newspaper - "Akaki Tsereteli State University".

At present there are 9000 active students, 412 full, associate and assistant professors and 300 highly-qualified specialists employed on the basis of the special agreement.

Throughout the past twenty years international relations have proved to be one of the major priorities for Akaki Tsereteli State University. The university has established links with the educational institutions of various countries: the USA (the universities of Missouri - Columbia, Missouri Rolla and Montana), the UK (the universities of Wales and Tire, Winrock International Institute), France (Versailles University, Bordeaux Pedagogical Institute), the Islamic Republic of Iran (the University of Guilan), the Republic of Turkey (the universities of Samsun May 19, Ankara and Ardahan), Israel (Ashkelon University), Canada (Dalhousie University), Belgium (Leuven Catholic University), Germany (the universities of Heidelberg, Dusseldorf, Kassel, Gottingen and Bamberg), Poland (Warsaw University), Latvia (the universities of Riga and Daugavpils), Lithuania (Kaunas Technolo-



gical University), Holland (the New European University), Ukraine (Khmelnitsky National University, Nezhin State University) Azerbaijan (the Medical University), Kazakhstan (the Caspian State University of Technology), Georgia-Turkey (the Union of Caucasian Universities), etc.

The university collaborates with the embassies of the USA, Great Britain, Germany, France, Canada, Belgium, Poland, Iran, Turkey, Israel, Greece, Armenia, Azerbaijan, Ukraine and Latvia, which are accredited in Georgia. Close links have been maintained with the international organizations - ACCELS, IREX, DAAD, TASIS, the project of civil education - GEP, the Goethe International Society, the Goethe Institute, etc.

The university is involved in the educational programs of ERASMUS MUNDUS II: ALRAKIS 1, ALRAKIS 2 and JANUS which facilitate the mobility of the students and academic staff in the leading European higher education institutions. A number of students and teachers have already taken this opportunity.

The academic staff of the university achieve significant success in international and national scientific grant competitions. Throughout the past 5 years up to 30 projects have been funded by Shota Rustaveli National Science Foundation as well as the foreign scientific foundations of TEMPUS, DAAD, USAID, NATO and Switzerland. University grants have also been provided for several years.

There are professors from foreign universities working at the ATSU and foreign citizens from Poland, Turkey, China, Russia, Nigeria, Cameroon, Iraq, Latvia and Egypt studying there.

The ATSU has achieved all this step by step. It owes its current image due to the rectors who were in charge of separate or united higher education institutions in different periods.

Since its establishment the university (the institutes) was headed by:

- Kutaisi State Pedagogical Institute:** 1. Ghentor Rukhadze (1933); 2. David Gvazava (1933-1935); 3. Alexandre Papava (1925-1936); 4.



David Dolidze (1936-1937); 5. Nestor Mekvabishvili (1937); 6. Luka Chelidze (1937-1962); 7. Ivane Goshkheteliani; 8. Konstantine Medzvelia (1965-1973); 9. Givi Chkhaidze (1974-1978); 10. Otar Bakuradze (1978-1986); 11. Nanuli Kakauridze (1986-1990).

Kutaisi Akaki Tsereteli State University: 1. Nanuli Kakauridze (1990-1991); 2. Magali Todua (1991-1995); 3. Avtandil Nikoleishvili (1996-2004); 4. Giorgi Oniani (2005-2006).

Kutaisi State Polytechnic Institute: 1. Nodar Valishvili (1973-1989); 2. Archil Kostava (1989-1992).

Niko Muskhelishvili Kutaisi State Technical University: 1. Archil Kostava (1992-2002); 2. Amiran Khvadagiani (2002-2006).

Georgian State University of Subtropical Agriculture: 1. Giorgi Goletiani; 2. Ivane Giorgberidze; 3. Revaz Chkhaidze; 4. Napoleon Karkashadze; 5. Vakhtang Pruidze; 6. Guram Kilasonia; 7. Nugzar Ebanoidze; 8. Roland Kopaliani.

Akaki Tsereteli State University: 1. Giorgi Oniani (2006-2010); 2. Giorgi Ghavladze (2010 – present).

The book aims at presenting their scientific, pedagogical, social and political activities. It is also worthy of note that the materials about the rectors of Kutaisi Pedagogical Institute _ Ghentor Rukhadze, David Gvazava, Alexandre (Sasha) Papava, David Dolidze and Nestor Mekvabishvili _ were have not been known to the public until the present time since these people were oppressed in 1937. Certain materials were found in the archive of the Ministry of Internal Affairs of Georgia and the former party archives. This is the first time they have been published.

ლენტორ რუსები



საქართველოს სსრ განათლებია სახალხო კომისრის ე. ბჭავანი 1933 წლის 10 იანვრის ბრძანებით ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პირველ დირექტორად დაინიშნა დოცენტი ლენტორ რუხაძე. იგი პარალელურად ასრულებდა ზოგადი და პარტიის ისტორიის კათედრის გამგის მოვალეობასაც.

ლენტორ ზაქარიას ძე რუხაძე დაიბადა 1888 წელს ხონში, გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო ხონის სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ ორკლასიან სასწავლებელში. შემდევ სახელმწიფო ხარჯზე სწავლა გააგრძელა ხონის სამასწავლებლო სემინარიაში.

1904-1905 წლებში, უკვე სემინარიის ბოლო კლასის მოსწავლე, მონაცილეობდა რევოლუციურ გამოსვლებში, სემინარიის დირექტორის ლევიცკის წინააღმდეგ მოწყობილი ბუნტის გამო კი დათხოვეს სემინარიიდან, თუმცა მაღლევე გამოიძახეს სასწავლებელში, გამოცდების ჩაბარების საშუალება მისცეს და მიანიჭეს სახალხო მასწავლებლის წოდება, რის შემდეგაც იმერთიდან გადავიდა საცხოვრებლად აფხაზეთში, კურძოდ სოხუმში, სადაც დაიწყო მასწავლებლობა და კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთო რევოლუციურ საქმიანობაში.

1905 წლის ოქტომბერში ქალაქ სოხუმში ჩატერა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის რიგებში. რეაქციის წლებში არაოფიციალურად გადმოიდის სამეცნიელოში, ადგილობრივი მასწავლებლებისგან აყალიბებს წრეს, რომელშიც ეწევან თვითგანვითარებას რევოლუციური ნაწარმოებების კითხვით. 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდევ სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა, 1908 წელს აიღო სიმწიფის ატესტატი, 1909 წელს ჩაირიცხა კოევის უნივერსიტეტში, 1910 წელს რევოლუციური საქმიანობისათვის დააპატიმრეს და გარიცხეს უნივერსიტეტიდან რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლების გარეშე. 1911 წელს გაემზადა გერმანიაში, პაიდელბერგის უნივერსიტეტში, სწავლის გასაგრძელებლად. 1913 წელს დატოვა გერმანია და დაბრუნდა ქეტერბურგში, სადაც მოახერხა, მიეღო უფლება კიევის უნივერსიტეტში სწავლის კვლავ გაგრძელებისა. 1916 წელს მისი სრული კურსის დასრულების შემდევ ჩარიცხეს ოფიცერთა კურსებზე, რომელიც მაღლ მიატოვა და გადავიდა ქალაქ ჩერკასკში, სადაც მოუსწრო 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ. 1919 წელს ლენტორ რუხაძე ჩერკასკში მიიღეს პარტიის რიგებში. 1919-1920 წლებში იგი იბრძოდა

დენიკინის არმიის წინააღმდეგ, როგორც წითელი არმიის მე-12 დივიზიის პოლიტნაწილის უფროსი.

1920 წელს ღენტორ რუხაძე გაიგზავნა პიატიგორსკის შემარტინა კურსებზე პოლიტიკურ მეცნიერებათა მასწავლებლად. 1921 წლის თებერვალში ბრუნდება საქართველოში და მუშაობას იწყებს ცენტრალურ კომიტეტის პოლიტიკური განათლების განყოფილების უფროსად, შემდეგ ხელმძღვანელობს თბილისის სახალხო განათლებასა და მაღლევი ინჩევნ თბილისის საქალაქო საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

1928 წელს დროებით დაინიშნა ეროვნული სამხედრო პოლიტიკური სკოლის დირექტორად. 1926-1929 წლებში ღენტორ რუხაძე იყო რკინიგზის მუშაოთა ფაკულტეტის დეკანი, 1930-33 წლებში მუშაობდა ქამიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 8 იანვრის გადაწყვეტილებით დაამტკიცეს პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად და ვაათავისუფლეს ქიმიურ-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობიდან.

1933 წლის 3 თებერვალს გმოიცა განათლების სახალხო კომისრის №61 ბრძანება ინსტიტუტში განყოფილებებისა და კათედრების გამგეების დანიშვნის შესახებ. დაარსებისთანავე ჩამოყალიბდა 17 კათედრა. 1933 წლის სექტემბრიდან კი მათი რიცხვი 21-მდე გაიზარდა. ინსტიტუტის ხელმძღვანელობა პირველი მასწავლებლებთან აფორმებდა ხელშეკრულებებს. მასში იწერებოდა სამუშაოს ხასიათი, მოცულობა და, ისიც, ხელშეკრულების დამდები პიროვნება მუდმივად გადმოდიოდა ქუთაისში, თუ ე.წ. „ჩამომსვლელი ლექტორი“ იქნებოდა.

რაც შეეხება სტუდენტთა კონტიგენტს, პირველი და მეორე კურსის სტუდენტები მთლიანად გადმოვიდნენ ქუთაისში, ხოლო მესამე კურსი სწავლის დასამთავრებლად თბილისში დარჩა.

ცოტა გახანგრძლივდა სწავლის დაწყებაც. პირველი ლექცია 13 თებერვალს ჩატარდა, ნაცვლად 1-ლისა. 12 თებერვალს ინსტიტუტის დირექტორის ხელმძღვანელობით გაიმართა ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა და სტუდენტთა პირველი სხდომა, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა დირექტორმა, დოცენტმა ღენტორ რუხაძემ.

1933 წლის 28 თებერვალს ქუთაისის დრამატული თეატრის შენობაში შედგა ინსტიტუტის გახსნისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. მოხსენებით - „პედაგოგიური ინსტიტუტის ამოცანები კულტურული მშენებლობის დღვანდელ საფეხურზე“ გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი დ.

რუსაძე. საზეამო სხდომის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით ქუთაისში სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს მიენიჭა აბელ ენუქიძის სახელი (1877–1937). იგი ასე იწოდებოდა 1937 წლამდე.

ინსტიტუტის დირექტორმა პირველ რიგში მუშაობა დაიწყო ისეთი საკითხის მოსახვარებლად, როგორებიც იყო სტუდენტთა ლექცია-პრაქტიკუმებზე გამოცხადება, მათი უზრუნველყოფა ბინითა და სურსათათ, კაბინეტ-ლაბორატორიებისა და ბიბლიოთეკის მოწყობა. სტუდენტებმა მიიღეს სასურსათო ბარათები, მოგვარდა სასადიღოს საქმეც. სტიპენდია დაენიშნა სტუდენტთა 90%-ს. დირექციამ შეძლო ნორმალური სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის გაშლა. შეიქმნა სტუდენტთა ჯგუფები. ისინი უზრუნველყოფილ იქნენ მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით, მინიმუმამდე დაიყვანეს გაცდენები როგორც მასწავლებელთა, ასევე სტუდენტთა მხრიდან.

ღენტორ რუსაძე, გარდა ორგანიზაციული საქმიანობისა, ეწერდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი კითხულობდა ლექციებს პარტიულ-კომკავშირული აქტივისა და მშრომელი მოსახლეობისათვის. 1933 წლის პარტში მან საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე - „მარქსიოგორიუმი ისტორიკოსი.“

დირექტორის ინიციატივით ინსტიტუტმა მოაწყო საკუთარი საგარეუბნო მუზეურნეობა. გაჭიანურდა ინსტიტუტის სამკათხველო დანაბაზიზად და კაბინეტების ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდით შევსება. დირექციას არ გააჩნდა საჭირო ლიტერატურის შესაძენი თანხა, რის გამოც ბიბლიოთეკა შემოწირულობების ფორმით შეიტანა.

მიუხედავად გაწეული შრომისა, როგორც საარქივო დოკუმენტებშიც მითითებული, საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა და ქუთაისის საქალაქო კომიტეტებმა აუცილებლად მიიჩნიეს ინსტიტუტის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და ხელმძღვანელობის შემდგომი განმტკიცება. დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლდა დაწყობირ რუსაძე. იგი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაინიშნა საქართველოს მთავრისტად.

დ. რუსაძე 1937 წელს პარტიიდან გარიცხეს, დაადანაშაულეს, რომ იყო აქტიური მონაწილე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაციისა, რომლის მიზანი აყო საბჭოთა ხელისუფლების დამხიბა, კაპიტალიზმის რესტავრაცია, ტერორისტული და დივერსიული ქმედებები პარტიის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ. ორგანიზაციაში შეიყვანა სალხის მტრებმა: ცენტრალური ბოლშევიკური კომიტეტის ბეჭდვისა და პროპაგანდის გან-



ყოფილების ინსტრუქტორმა კერძესელიძემ და ამავე განყოფილუბზე გამოიყენება გერმ. ბედიამ, დაპატიმრების ღღემდე ეწეოდა აქტიურ ორგანიზაციული კურსების საქმიანობას ტერორის განსახორციელებლად საბჭოთა მთავრობის წინა-აღმდეგ. დაზვრისტეს ქონგბის კონფისკაციით.

F105.117
3



საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1933 წლის 20 ოქტომბრის დადგენილებით ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ლოცვენტი დავით ფარნაოზის ძე გვაზავა (1902–1937). იგი მაშინდელი საბჭოთა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში კარგად ცნობილ პაროვნებას წარმოადგენდა, აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს კომკავშირის შექმნაში.

დავით გვაზავა 1917 წელს კომკავშირის, ხოლო 1919 წელს კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს. 1921–1922 წლებში ხონის კომკავშირის რაიკომის მდივანი, 1922–23 წლებში საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის, 1927–1929 წლებში კი АПО ცენტრალური კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების გამგე იყო. 1923–1927 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

დ. გვაზავა 1923–1924 წლებში მუშაობდა საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მდივანად 1924–1927 წლებში მუშაობდა საქართველოს კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანად კულტპროპაგანდის დარგში, 1928 წელს გადაიყვანეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიონალურად, შემდეგ კი გაზრდა „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილედ და პასუხისმგებელ რედაქტორად. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა 1935 წლის აგვისტომდე.

დირექტორმა ინსტიტუტის ცხოვრებაში სისტემური ცვლილებები განახორციელა, რასაც მოჰყვა სასწავლო—სააღმზრდელო, სამეცნიერო—კვლევითი და შრომის დისციპლინის განმტკიცება, სასწავლებელში დაწესდა ერთცვლიანი მეცანიერობა 9-დან 5 საათამდე, აკადემიური საათის ხანგრძლივობა განისაზღვრა 50 წუთით, დასვენების 10 წუთით, აიკრძალა ორი პროსემინარის ცხრილში ერთ დღეს შეტანა. ყოველდღიურად ლექციები შეიძლება დანიშნულიყო მხოლოდ 3 საგანში, ერთ დასკიპლინაში მეცანიერობის ხანგრძლივობა კვირაში არ უნდა ყოფილიყო სამ საათზე მეტი მოცულობით. საზოგადოებრივი მუშაობა უთახმდებოდა სასწავლო ცხრილს.

აკადემიური მოსწრების აღრიცხვა სასწავლო წლის მანძილზე მიმდინარეობდა ოთხჯერ: 15 ნოემბერს, 15 იანვარს, 15 აპრილსა და 15 ივნისს.

სასწავლო პროცესის შემადგენელ ნაწილად იქცა პოლიტექნიკური და პედაგოგიური პრაქტიკა.

დირექტორი მუდმივად ზრუნავდა სასწავლო—მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის. 1934 წელს ინსტიტუტის ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი, მოწყობი წყალსადენი და კანალიზაცია, ყოფილი სასამართლოს შენობიდან გამოიყვანეს პარტიული სკოლა და იგი მთლიანად გადაეცა ინსტიტუტს. აღნიშნული ტერიტორიაც შეაკეთეს და საჭირო მასალებით შეავსეს კაბინეტი—ლაბორატორიები.

1934 წლის 1 სექტემბერიდან ქუთაისში გადმოვიდა პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება.

1934 წლის 16 მაისს სსრ კავშირის სახკომსაბჭომ და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს დადგენილება „სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ“, რომელმაც გამოიწვია საფაქულტეტო მოწყობის სტრუქტურული რეორგანიზაცია. ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტის ბაზაზე 1935 წლის თებერვალს ჩამოყალიბდა ორი დამოუკიდებელი ფაკულტეტი — ისტორიის და ენისა და ლიტერატურის.

1935 წელს დავით გვაზავა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლდა ბრალდებით, რომ სწორად არ წარმართავდა ინსტიტუტის მართვას, უშვებდა მნიშვნელოვან შეცდომებს პროფესორთა შემადგენლობასთან ურთიერთობისას, სისტემატურად არღვევდა პარტიულ დისციპლინას, არ ემცველდებარებოდა საბჭოთა ორგანოების გადაწყვეტილებებს.

დავით გვაზავა პარტიიდან 1935 წელს გაირიცხა. დაპატიმრებამდე იყო განათლების კომისარიატის სამეცნიერო—კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების უფროოსი. მას ბრალად წაუყენეს: 1922 წლიდან ტროცკისტებისა და უკლონისტების ჯგუფში მონაწილეობა, ტროცკისტულ საქმიანობით იყო დაკავშირებული ჩიხლაძესთან, ნიკოლოზ ცინცაძესა და ავეჯნტი პაპავასთან. ბრალდებაში, ასევე, აღნიშნულია, რომ ის ნიბაბავდა თავის შეხედულებებს, პარტიიდან გარიცხვამდე გამოთქვამდა ბოლშევიკური პარტიის საწინააღმდეგო მოსაზრებებს. მან თავი დამნაშავედ ცნო ჩიხლაძესთან, ცინცაძესა და სხვებთან კავშირში. 1937 წლის 9 ნოემბერის გადაწყვეტილებით დავით ფარნაოზის ძე გვაზავა დაადანაშაულეს, როგორც ტროცკისტულ — უკლონისტური დაჯგუფების წარმომადგენელი და მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა - დახვრეტა ქონების კონფისკაციით.

მოგვიანებით დადგინდა ამ ბრალდებების ტენდენციურობა და სიყალბე. 1956 წლის 23 მარტს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პროკურატურამ

შეცვალა სამეულის გადაწყვეტილება. დავით გვაზავასთვის წაყენებული
ბრალდება 1922 წელს ნაციონალ-უკლონისტებთან, 1925–26 წლებში
კი ტროცისტებთან კავშირისა და შემდეგ მათთან ჩამოშორების შესახებ
არამართებულად ცნო. მოხდა მისი რეაბილიტაცია.



1918-1920 წლებში მოწაფეთა შორის ეწეოდა არალეგალურ მუშაობას, ქუთაისის პარტიული ორგანიზაციის დავალებით.

ალექსანდრე პაპავა 1920-1921 წლებში იყო თბილისის უნივერსიტეტში მოქმედი კომუნისტური უჯრედის წევრი. მუშაობდა ბოლშევიკურ განხევ „კომუნისტის“ რედაქციაში. აქტიურად მონაწილეობდა მენშევიკური მთავრობის საწინააღმდევო საპროტესტო გამოსვლებში. 1920 წლის 17 დეკემბერს მთავრობის რაზმა დაარბია „კომუნისტის“ რედაქციის შენობა და დააპატიმრა გაზეთის თანამშრომელები: ს. კოკაჩიშვილი და ა. პაპავა, რომლებიც გაზეთის მორიგე ნომრის გამოშვებაზე მუშაობდნენ. ისინი ქუთაისის ციხეში მოათავსეს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, 1921 წლის 7 მარტს, ა. პაპავა გამოვიდა ქუთაისის ციხიდან. 1921-1923 წლებში იყო ქუთაისში გამომავალ გაზეთ „მუშა და გლეხის“ რედაქტორის მოადგილე. 1924-25 წლებში რედაქტორობდა საქართველოს კომპარტიის აჭარის კომიტეტის და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოს გაზეთ „ფუხარას“, ქალაქ ბათუმში. 1924 წელს დაბრუნდა მშობლიურ უნივერსიტეტში და სწავლა განაგრძო კონონიმიკურ ფაკულტეტზე. 1925-26 წლებში სწავლასთან ერთად, პარარელულად, თბილისის საქა-

1935 წლის აგვისტოს ბოლშევიკურ კით გვაზავა განთავისუფლდა დირექტორის თანამდებობიდან და მის ნაცვლად დაინიშნა დოცენტი ალექსანდრე პაპავა.

ალექსანდრე პაპავა დაიბადა 1902 წლის 11 ივნისს სამტრედიაში. საშუალო განათლება მიიღო ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. აქვე, 1917 წლის ნოემბერში ახალგაზრდებთან ერთად ჩამოაყალიბა მარქსისტ-ინტერნაციონალისტთა ახალგაზრდული კავშირი „სპარტაკი“, როგორც ამ ორგანიზაციის დაარსების მონაწილეს, პარტიული სტაჟი დაუმტკიცეს 1917 წლიდან.

ლაქო კომიტეტში მუშაობდა აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილების გამგედ. 1928 წელს, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში. იგი აქტიურად საქმიანობდა თბილისში სახელმწიფო უნივერსიტეტში, კერძოდ კი პარტიულ კომიტეტში. 1931 წლიდან ალესანდრე პაპავა სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს პოლიტეკნომიაში სატყეო და პედაგოგიურ ინსტიტუტებში. აქვე, მცირე ხნით ასრულებდა საფინანსო-ეკონომიკური ინსტიტუტის საფინანსო ფაკულტეტის დეკანის და მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სწავლული მდივნის მოვალეობას. 1924 წლიდან 1935 წლამდე ალექსანდრე პაპავა იყო უნივერსიტეტის გაერთიანებული პარტიული ბიუროს წევრი, 1931-1933 წლებში - საქართველოს ცენტრალური კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგე. 1932 წელს მიენიჭა დოცენტის წოდება. 1934-1935 წლებში მსახურობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიულ დაწესებულების მიერვალობაში.

1935 წლის აგვისტოში გადმოჰყავთ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად.

საბჭოთა უმაღლესი სკოლის განვითარების ახალი საფეხური დაიწყო სსრ კავშირის სახელმისამართისა და საკავშირო კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1936 წლის 23 ივნისის დადგენილებით „„უმაღლესი სასწავლებლების მუშაობისა და და უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობის შესახებ“. დადგენილებამ განსაზღვრა უმაღლეს სკოლაში სტუდენტთა მიღების, სასწავლო დროის, მუშაობის ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის საკითხები. გაუქმდა სწავლების „ბრიგადულ-ლაბორატორიული მეთოდი“, მრავალსაგნიანობა და სხვა.

პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის უმთავრეს ამოცანად იქცა ზემოთ აღნიშნული დადგენილების განხორციელება და ინსტიტუტის მუშაობის ძირითადი გარდაქმნა.

დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტის დირექტორი გააუქმა პედოლოგის კათედრა და პედოლოგის სპეციალობა. აიკრძალა პედოლოგიის სასწავლო კურსის წაკითხვა. სტუდენტებს უფლება მიეცათ სწავლა გაეგრძელებინათ სასკოლო პედაგოგიკის სპეციალობაზე.

სწავლების ფორმად დადგინდა: ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა. ცოდნის შემოწმების ერთადერთ ფორმად გამოცდები და ჩათვლები გამოცხადდა. შემოღებული იქნა ორი - I და II - ხარისხის სახელმწიფო გამოცდები.

აკადემიური საათის ხანგრძლივობა უნდა ყოფილიყო 45–50 წუთი, ხოლო შესვენება 10–15 წუთი. მეცადინეობა ტარდებოდა სტადიუმში ცხრილით. გაუქმდა სწავლის დაწყება-დამთავრების ნებისმიერი ვადები. მეცადინეობის დაწყების და დამთავრების ვადად განისაზღვრა – 1 სექტემბერი და 30 ოქტომბერი.

დადგენილების საფუძველზე შემოღებულ იქნა მისაღები გამოცდების ჩატერების ერთიანი ვადები. განცხადებების მიღება – 20 ივნისიდან 1 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები – 1– დან 20 აგვისტომდე, ჩარიცხვა 20–დან 25 აგვისტომდე. მიღებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება ეკისრებოდა უმდლლესი სასწავლებლის დირექტორს.

კათედრის გამგებება და წევრებს, გარდა სასწავლო დატვირთვისა, საკალებებულო გაუხდათ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ინდივიდუალური გეგმის შესრულება. განისაზღვრა უმაღლესი სასწავლებლების დირექტორების, მათი მოადგილეების, ფაკულტეტის დეკანების, კათედრათა გამგებებისა და მისი წევრების მიერ თანამდებობის დაკავების წესები.

1935–1937 წლებში სექტემბრიდან ინსტიტუტში გამოდიოდა სტუდენტთა ყოველდღიური გაზეთი – „საბჭოთა პედაგოგი“.

მიუხედავად უმაღლეს სასწავლებლში განხორციელებული მნიშვნელოვანი ღონისძიებებისა, 1936–1937 წლები მძიმე და მტკიცნეული აღმოჩნდა უნივერსიტეტისათვის. აღექსანდრე პაპავა 1936 წლის 15 ოქტომბერს გაათავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან. მას ბრალი დასდეს ანტიპარტიულ საქმიანობაში და 19 წელი გაატარა სტალინურ იზოლატორებსა და ბანაკებში (1955 წლამდე). 1956 წლს მთავრობის გადაწყვეტილებით მთლიანად იქნა რეაბილიტირებული და აღდგენილი ჰკპ რიგებში პარტიული სტაჟით 1917 წლიდან.

1956 წლიდან აღ. პაპავამ სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობა გააგრძელა ვ.ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტში პოლიტეკნომიის კათედრაზე. იყო კათედრის დოცენტი. ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას, იკვლევდა ეკონომიკის აქტუალურ პრობლემებს. იყო საავიაციო ქარხნის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი და კითხულობდა ლექციებს საზოგადოება „ცოდნის“ ხაზით. 1990 წლის სექტემბერში პირადი განცხადების საფუძველზე აღექსანდრ პაპავა განთავისუფლდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტეკნომიის კათედრი დოცენტის თანამდებობიდან.

უნივერსიტეტში მუშაობის წლებში აღექსანდრე პაპავას გამოცემული აქვს რამდენიმე შრომა ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე.

1990 წელს გაზეთ „მამულში“ (№21-22) გამოქვეყნდა ა. პაპაგაის მოგონება - „სტალინის საქართველო“, რომელშიც ავტორი საცუთაძის დაპატიმრების თემასაც ეხება. „ბერიას ჩემი დაპატიმრების შემდეგ უნდა ვერსიტეტის მეცნიერებთან ერთი შეხვედრისას უთქვამს: მე მან დიდი შეკრის რაც ხყოფა მომაყენა, ყოვლად უმგვანო ცილი დამწერა, მე კი მას ყველაფერი ვაპატივი. ჯერ იყო უნივერსიტეტის პრორექტორად დავნიშნე, შემდეგ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად და თანაც დავავალუა იქ მოსამზადებელი სამუშაო ჩაეტარებინა, რათა ქუთაისის ინსტიტუტის ბაზაზე მეორე უნივერსიტეტი აღმოცენებულიყო. ის კი სადაც ზელი მი უწყდებოდა სტალინს და მე გვლანძდავდა. ეს მე მიამბეჭ აკადემიკოსებმა აღა. ჯანელიძემ და გ. ახვლედიანმა. სინამდვილეში ცენტრალური კომიტეტიდან წამოსვლის შემდევ არავისთან ბერია მე არ მიხსენებია“, -აღნიშნავს უკვე მტცოვანი მეცნიერი. ეს ინფორმაცია, გარჯვა იმისა, რომ კოდვან ერთხელ შეგვასხვნებს 1930-იანი წლების დამთრეუნველ ატმოსფერის, საქართველოს მაშინდელი მთავრობის სამომავლო ზედვასაც გვაცნობს თუმცა, ვფიქრობთ, მაიც არასაკმარისია იმისათვის, რომ ზემო აღნიშნული უტყუარ ფაქტად მივიჩნიოთ.

აღექსანდრე ივანეს ძე პაპავა გარდაიცვალა 1990 წელს.



1936 წლის 1 ნოემბერს ცენტრალური გიური ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა ცნობილი ქართველი ბოლ-შევიკის, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ფილიპე მახარაძის სიძე (ქალიშვილის ქმარი), პროფესორი დავით დოლიძე. მან ამ თანამდებობაზე იმუშავა 1937 წლის 18 აგვისტომდე.

დავით გრიგოლის ძე დოლიძე დაიბადა 1902 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ ამაღლებაში. 1917–21 წლებში სწავლობდა (არსებული დოკუმენტაციით არ იკვევა სად), 1919 წელს გახდა პარტიის წევრი, არ ყოფილა კომკავშირელი, არ უმახურია არმიაში, 1921–22 წლებში იყო ბათუმის ოლქის АПО განყოფილების უფროსი, 1923–25 წლებში – მოსკოვის КТУ მასწავლებელი, 1925–28 წლებში – მოსკოვის წითელ პროფესორთა ინსტიტუტის სტენი, 1928 წლიდან მუშაობდა საქართველოს ცენტრალური კომიტეტის АПО განყოფილების უფროსად, 1928–29 წლებში – ცენტრალური კომიტეტის კულტპროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილედ, 1929–30 წლებში – გაზეთ „ზარია ვასტოკას“ რედაქტორის მოადგილედ. 1930–31 წლებში იმყოფებოდა საზღვარგარეთ სამეცნიერო მივლინებაში. 1931–33 წლებში იყო საფინანსო–ეკონომიკური ინსტიტუტის დირექტორი, 1933–1935 წლებში – ЗИИТ-ის(ამიერკავკასიის რეინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის) დირექტორი, 1935 წლიდან კი სახალხო განათლების კომისარიატის თანამშრომელი.

საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1936 წლის 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, პროფ. დავით გრიგოლის ძე დოლიძე დაინიშნა თბილისის ს. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის პოლიტეკნიკის კათედრის გამგედ. მალე 1936 წლის 9 ნოემბერს იგი



განთავისუფლდა და კავებული თანამდებობიდან და დაინიშნა ქუთათხოვს
პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად.

1936 წლის სექტემბრიდან ინსტიტუტს შემატა ახალი სპეციალობები,
ბი, მიღება დაიწყო წისა და ლიტერატურის ფაკულტეტის უცხო ქუბის
(გერმანული, ფრანგული) პროფილზე.

1937 წლის თებრავალში ინსტიტუტს მიენიჭა ცნობილი ოვოლუ-
ციონერისა და მარქსისტ-თეორეტიკოსის ალექსანდრე წელუკიძის
(1876–1905) სახელი. 1937 წლის დასასრულს ინსტიტუტის ცხოვრე-
ბაში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა – ის პირველი კატეგორიის სტატუ-
სის მქონე უმაღლესი სასწავლებლი გახდა, რამაც, შესაბამისად, გასარჩა
ინსტიტუტის მისაღებ სტუდენტთა კონტიგენტი, შტატები და აღმინის-
ტრაციული და აკადემიური პერსონალის ხელფასიც.

1937 წლის ივნისში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სამკუნიე-
რო საბჭოს საჯარო სხდომაზე, კონსტანტინე მემველიამ დაიკვა პირვე-
ლი საკანდიდატო დისერტაცია.

1937 წლის ავგისტოში დავით გრიგოლის ძე დოლიძე დამატიაშვილის
გამო გაათავისუფლეს დირექტორის თანამდებობიდან, გარიცხეს პარტი-
იდან და მიუსავეს სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა ქანკის კონ-
ფისკაციით, თითქოს, როგორც ხალხის მტერი ანტისახლმწიფო ბრძანები.
ორგანიზაციის წევრი პ. ჭკუასელსა და პ. ორაგველიძესთან ერთად.



ყველაზე ხანმოკლე პერიოდით რექტორობა მოუწია ნესტორ მექვაბიშვილს, რომელიც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად დაინიშნა 1937 წლის 1 სექტემბერს და გათავისუფლდა ამავე წლის 10 ნოემბერს.

ნესტორ მექვაბიშვილი დაიბადა 1900 წლის 15 სექტემბერს სოფელ ჯუმათში. სიღარიბის გამო მან თავდაპირველად ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება და მუშაობა დაიწყო სოფელ ჯუმათის ფოსტაში, ხოლო შემდეგ გზების მშენებლობაზე თურქეთში.

1912-1915 წლებში სწავლა დაიწყო მეზობელი სოფლის ახლად დაარსებულ უმაღლეს-დაწყებით სასწავლებელში. სკოლის დამთავრებისთანავე სწავლა გააგრძელა ოზურგეთის სამასწავლებლო სემინარიაში, შემდეგ კი ლანჩხუთის ჰუმანტარულ ტექნიკუმში, რომელიც დამთავრა 1923 წელს. იმავე წელს მიიღეს კომკავშირის რიგებში და სასწავლებლად გააგზავნეს თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ ინსტიტუტში, 1923-24 წლებში მუშაობდა კომკავშირის რაიკომის მდივნად (არსებულ დოკუმენტებში არ არის ფიქსირებული სად), პარალელურად ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, პედაგოგიური ინსტიტუტი დამთავრა 1927 წელს, 1928 წელს კი უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ ფაკულტეტი, 1926-28 წლებში იყო თბილისის ერთ-ერთი რაიონის რაიონული კომიტეტის ინსტრუქტორი. 6. მექვაბიშვილი 1927 წელს მიიღეს პარტიის რიგებში, 1928 წელს სწავლის გასაგრძელებლად მიავლინეს მოსკოვში უმაღლესი კომუნისტური განათლების ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც დაიცვა დისერტაცია და მოპირვა პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 1929-31 იყო წლებში თბილისის 30-ე და 14-ე შრომის სკოლების დირექტორი, 1931 წელს დაინიშნეს თბილისის ლენინის რაიკომის კულტურის განყოფილების გამგედ.

1937 წელს ნესტორ მექვაბიშვილი გახლდათ ჭუთაისის ალ. წელიუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორი. — აქვე კითხულობდა ლექციებს პედაგოგიკის თეორიასა და ისტორიაში.

მისი დირექტორობის დროს 1937 წლის სექტემბრიდან შემოიღეს ფიზკულტურის სპეციალობა, რომელიც შემდეგში ფაკულტეტიად გადაკეთდა. მისმა დაარსებამ ხელი შეუწყო ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის სპეციალისტთა მომზადებას.

ნესტორ მექვაბიშვილი 1937 წლის დეკემბერში გარიცხეს პარტიიდან და დააპატიმრეს, დაადანაშაულეს იმის გამო, რომ ბორჯომში იყო პარტაქტივის კურსებზე ხალხის მტერ, ტროცკისტ დავით აროშიძესთან ერთად, ლექციების გვერდის ავლით იძლეოდა არასწორ ანტისაბჭოურ მითითებებს ბოლშევიკური პარტიის შესახებ. აღსანიშნავია, რომ მან თავი არ ცნო დამნაშავედ. გადაასახლეს 10 წლით, იმყოფებოდა შრომა-გასწორების ბანაკში.

ნესტორ მექვაბიშვილი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამხრეთ ოსეთის, ხოლო შემდეგ თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრებს, 1963 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია - „მოსწავლეთა სწავლების მწარმოებლურ შრომასთან შეერთების საფუძვლები“ და მიენიჭა პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორ ნესტორ მექვაბიშვილს ეკუთვნის პედაგოგიკური ხასიათის რამდენიმე მონოგრაფია, ას ორმოცდათზე მეტი სტატია და ნარკევე, ჯერ კიდევ 30-ან წლებში გამოქვეყნდა მისი „მოსწავლეთა თვითმსართველობა სკოლაში“. ნაშრომში პირველად აშ-უქებდა მოსწავლეთა ორგანიზაციების მნიშვნელობას, მისი საქმიანობის შინაარსს, მიზნებს, ფორმებსა და მეთოდებს.

ნესტორ მექვაბიშვილი ერთ-ერთი ავტორია წიგნისა „პედაგოგიკა“, რომელიც პირველი სახელმძღვანელო იყო პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. გარდა ამისა, გამოქვეყნებული აქვს ოთხმოცამდე სამეცნიერო შრომა, სხვადასხვა ჟურნალ - გაზეთში.

პროფესორი ნესტორ მექვაბიშვილი წლების განმავლობაში იყო თბილისის პედაგოგიური ცოდნის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

გარდაიცვალა 1988 წელს.

ლუკა ჯალიძე



ლუკა ალექსანდრეს ძე ჭელიძე დაიბადა სოფელ ბუგეულში, „ჭელიძეების უბანში“, 1904 წელს. აქვე, 4-კლასიან სასწავლებელში, მიღოღ დაწყებითი განათლება. 1921 წელს ლუკა ჭელიძემ სწავლა გააგრძელა ჭრებალოს საშუალო სკოლაში, მაგრამ ეკინომიური მდგომარეობის გამო დროებით შეწყვიტა. მხოლოდ 1924 წელს მიეცა საშუალება სწავლის გაგრძელებისა ქ. ონის ცხრაწლედში, რომელიც დაამთავრა 1926 წელს, იმავე წელს დაინიშნეს სოფელ სხვავის (ამბროლაურის რაიონი) ჭვარწელიანი შრომის სკოლაში ბუნებისმეტყველებისა და ფიზიკის მასწავლებლად.

1929 წელს სამაზრო კომიტეტის მიერ, როგორც მოწინავე მასწავლებელი, მიაკლინეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბუნების-მეტყველების ფაკულტეტზე, 1932 წელს კი, როგორც კარგი აკადემიური მოსწრების ახალგაზრდა ჩარიცხულ იქნა ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1933 წელს.

1933 წლიდანვე შეშაობას იწყებს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1935—1937 წლებში ლუკა ჭელიძე მივლინებული იქნა ქალაქ მოსკოვში, სსრკ—ის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში. 1937 წლიდან იგი ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაინიშნა არაორგანული ქიმიის კათედრის გამგედ (25 წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობდა სამეცნიერო—პედაგოგიური ბაზის განსამტკიცებლად). 1937 წლის 9 ოქტომბერს ლუკა ჭელიძე განათლების სახალხო კომისირის ბურჭულაძის ბრძანებით დაინიშნა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის დარგში. იმავე წლის 11 ნოემბრის ბრძანებით დროებათ დაეკისრა პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობა.

1938 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიის ინსტიტუტში და მიენიჭა დოკტორის წოდება.



1938 წლის 27 იანვარს ლუკა ჭელიძე განათლების სახალხო კომის-რის ბრძანებით დაინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დოკუმენტურიად.

1938 წლიდან დაიწყო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელთა კონ-ფერენციების ჩატარება. პირველად ივი ჩატარდა 1938 წლის ოქტომბერ-ში და მიეძღვნა ლენინური კომკავშირის 20 წლისთავეს.

1938 წლიდან შეწყდა სტუდენტთა ყოველდღიურ გაზეთ „საბჭოთა პე-დაგოგის“ გამოცემა.

1938 წლიდან ინსტიტუტის ასპირანტურაში მიღება სტაბილური გახდა.

1938 წელს პირველი მიღება ჩატარდა ექსტერნატზეც. მას ჰქონდა ქართველი ენისა და ლიტერატურის, რუსული ენის და ლიტერატურის, ისტორიის, მათემატიკის, გეოგრაფიისა და საბუნებისმეტყველო სპეცია-ცობები. სულ ჩაირიცხა 86 სტუდენტი.

1940 წლის ნოემბრიდან ინსტიტუტთან დაარსდა უცხო ენის შემ-სწავლელი ჯურნალი, სწავლების ორწლიანი ვადით, გერმანული და ფრან-გული პროფესიულებით.

ინსტიტუტის ზრდა—განვითარების კვალობაზე სტუდენტთა სამეც-ნიერო მუშაობაში სასწავლო—სამართლდელო პროცესში თანათან მოიპო-ვა საპატიო აღვილი. დაინერგა საინსტიტუტო კონფერენციების მოწვევის არაქტიკა. სტუდენტთა პირველი საინსტიტუტო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა 1941 წლის 17–18 თებერვალს და მიეძღვნა საბჭოთა ხელისუფლე-ბის დამყარების 20 წლისთავეს, მეორე კი იმავე წლის 22–25 მაისს.

1938–41 წლებში ინსტიტუტში ფართოდ იყო გაშლილი სტუდენტთა თვითშემოქმედება: არსებობდა დრამატული წრე, მომღერალთა გუნდი, მოცეკვავთა ანსამბლი, სასულეო ორკესტრი.

1939 წელს გაუჯრობესდა ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სასწავლო კორპუსში შეკეთდა 12 კაბინეტი—ლაბორატორია, 18 აუ-დიტორია, საერთო საცხოვრებელში კი – 58 ოთახი.

ჰელაგოგიურ ინსტიტუტში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის აღმავ-ლობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფესიონალური მუშაობისათვის და მიმდინარე კრებულის გამოცემას, რომლის ნებართვა უმაღლესმა სას-წავლებელმა 1939 წელს მიიღო. მისი პირველი ტომი გამოვიდა 1940 წელს (პასუხისმგებელი რედაქტორი დოც. ლუკა ჭელიძე). შრომები გა-დაიწა გაწეული კვლევითი მუშაობის ფართო საზოგადოებისათვის გაც-ხობის საუკეთესო ასპარეზად (შრომების ბოლო 34-ე ტომი 1974 წელს გამოვიდა).

მეორე მსოფლიო ომმა სერიოზული ცვლილებები გამოიწვია ინსტიტუტის სტრუქტურასა და მთელ მის სასწავლო—აღმზრდელობის მეცნიერო—კვლევითსა და მეთოდურ მუშაობაში. გადაკეთდა სისტემული გეგმები, დროებით სწავლების ხანგრძლივობა სამწლიანი გახდა. საჭირო ცვლილებები იქნა შეტანილი მოქმედ პროგრამებში. ინსტიტუტის მთელი მუშაობა საომარ ყაიდაზე გარდაიქმნა.

სამამულო ომის დაწყებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამხედრო—პატრიოტულ აღზრდას. ინსტიტუტმა შეიძინა თვითმფრინავი და სტუდენტები ეუფლებოდნენ მის მართვას. 1941 წლის 1 აგვისტოდან პედაგოგიურ ინსტიტუტში საყოველთაო სამხედრო სწავლება დაწესდა. კვირაში ერთი დღე დაეთმო სამხედრო საქმეს.

დაიხვეწა მისაღები, საკურსო და სახელმწიფო გამოცდების ჩატარების პრაქტიკა. სრულყოფილად დაიწყო საქმიანობა დაუსწრებელისა განყოფილებამ. გაიზარდა სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი. განმტკიცდა და სასწავლო სამეცნიერო ბაზა.

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი მთელი თავისი ინვენტარით გადაუცა სამხედრო-საევაგუაციო პოსტიტალს.

1942 წლის სექტემბრიდან დროებით გაუქმდა დაუსწრებელი განყოფილება. სტუდენტთა ნაწილი ინსტიტუტის საექსტერნო განყოფილებაზე (არსებობდა 1938—1944 წლებში) გადავიდა.

1941 წლის ნოემბრიდან გაუქმდა პედაგოგიკისა და ფიზიკური კულტურის ფაკულტეტები. 12 სპეციალობის ნაცვლად დარჩა 7 სპეციალობა.

1941-42 სასწავლო წლებში, მთავრობის მოთხოვნების შესაბამისად, სწავლების ვადების შემჭიდროვებისა და მეოთხე კურსის სტუდენტთა ვადადებების გადამჟებასთან დაკავშირებით, გადამუშავდა და შედგა სპეციალური, ე.წ. გარდამავალი სასწავლო გეგმები II, III და IV კურსებისათვის. შემცირდა სტუდენტთა არდადეგების დრო და გაიზარდა მათი ყოველ დღიური დატვირთვის ხანგრძლივობაც.

მთავრობის დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტს გამოიყო დამხმარე მეურნეობა, რომელიც 20 პეტრა მიწის ფართობს ფლობდა. დამხმარე მეურნეობამ ხელი შეუწყო პროფესორ—მასწავლებელთა და სტულენტთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. თანამშრომელთა უმრავლესობა ჩამტელი იყო ინდივიდუალურ მებრძოსტებაში.

1945—1950 წლებში ინსიტუტს შეემატა რამდენიმე ახალი სასწავლო კბინეტი, ლაბორატორია, სახელოსნო, ფიზკულტურულ-სპორტული

ბაზა, აგრეთვე, სასწავლო—საცდელი ნაკვეთი, ორანჟერია. ისინი უახლესი სასწავლო ტექნიკური დანადგარებით აღიჭურვა. განახლდა ტექნიკური არსებული სასწავლო დეპორატიული ბაზი.

1947 წელს ინსტიტუტში კვლავ გაიხსნა ფიზიკური აღზრდისა და სპერტის სკეკიალობა, რომელიც მაღვე ცალკე ფაკულტეტის სახით ჩამოყალიბდა (1947–1958). ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტს გამოყოფილი ენების განყოფილება და ისიც ცალკე უცხოურ ენათა ფაკულტეტად ჩამოყალიბდა (1947–1958). ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტთან დაარსდა ახალი ლოგიკა—ფიქოლოგის განყოფილება (1947–1957), რომელიც თავისი პროფილით ერთადერთი იყო საქართველოს უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში.

50—იანი წლების დასაწყისიდან დასავლეთ საქართველოს მასშტაბით დაუსწრებელი სწავლების სტუდენტებისათვის დაარსდა სასწავლო საკონსულტაციო პუნქტები, სადაც მუშაობა, წინასწარ შედგენილი ცხრილების მიხედვით, თვეში ორჯერ ტარდებოდა.

1957 წელს ინსტიტუტის სწავლების ორივე ფორმას შეემატა ახალი სპეციალობა „დაწყებითი სწავლების პედაგოგიკა და მეთოდიკა“ (ქართული და რუსული განყოფილებები).

1955 წლის დეკემბრიდან ატიური ურთიერთობები დამყარდა კიროვობადისა და ლენინიაკნის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტებთან.

1957 წლიდან ინსტიტუტის სტუდენტთა შრომითი რაზმები რეგულარულად მონაწილეობდნენ ყაზახეთში ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად დაწყებულ დიდ სახალხო ლაშქრობაში.

1947 წელს დაიწყო და 1951 წლისთვის ინსტიტუტში შეიქმნა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი პოლიგრაფიული საწარმო. იგეჭდებოდა შრომები, მონოგრაფიები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მეთოდური ლიტერატურა, რამაც ხელი შეუწყო ინსტიტუტში სამეცნიერო მუშაობისა და სწავლების ხარისხის შემდგომ გაუმჯობესებას.

1958 წელს გამოიცა პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო შრომების პირველი კრებული. 1960 წლიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის გაუმჯობესებას და მათ მასობრივად ჩაბმას სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში.

1949–1950 სასწავლო წლის I სემესტრში, ინსტიტუტში ამ მნიშვნელოვანი მუშაობის ერთიანი ხელმძღვანელობის მიზნით, შეიქმნა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება.



1948 წლის თებერვალში ლუკა ჭელიძე გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტის გოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების სტუდენტთა ყრუფების დროის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციების მოწოდების ინიციატორად. 1949 წლის 15–19 მარტს ინსტიტუტიში ჩატარდა სტუდენტთა პირველი რესპუბლიკური კონფერენცია.

1947 წელს სკოლებთან კავშირის გაღრმავებისა და მშობელთა შორის პედაგოგიური ცოდნის პროგაგანდის მიზნით 1947 წელს ინსტიტუტის დაარსდა და მუშაობას შეუდგა საბჭოთა კავშირში ერთ–ერთი პირველი მშობელთა სახალხო უნივერსიტეტი.

1948–1949 წლებში საინციატივო ჯგუფმა ქუთაისში, პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის დარსების მიზნით მოამზადა დასაბუთებული დოკუმენტაცია. მის შედეგენაში მონაწილეობდა ქართველ მეცნიერთა დიდი ჯგუფი. ინიციატივას მხარი დაუჭირა როგორც ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ისე საკავშირო უმაღლესი განათლების სამინისტრომ, მაგრამ ეს საქმეც სხვადასხვა სუბიექტურ გარე მოებათა გამო ჩაიშალა.

1954 წელს შეწყდა მიღება ასპირანტურაში, რომელიც 1933 წლიდან არსებობდა.

1958 წელს გაიხსნა უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა მოსამზადებელი კურსები.

1958 წლის აპრილში დიდი ზეიმით აღინიშნა ქუთაისში ინსტიტუტის არსებობიდან 25 წლისთვის. იგი, მიღწეული წარმატებების შეჯამებასთან ერთად, მომავლის ამოცანების დასახვის ასპარეზად გადაიქცა და, ამდენად, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ინსტიტუტის ისტორიაში.

1960 წელს ინსტიტუტს შეემატა ახალი სტრუქტურული ერთეული საღამოს სწავლების განყოფილება, ერთპროფილიანა ექვსი სპეციალობით და ხუთწლიანი სწავლების ვადით, სადაც უმაღლეს პედაგოგიურ განათლებას იღებდა წარმოებისაგან მოუწყვეტლივ ქუთაისისა და მისი შემოგარენის ახალგაზრდობა.

1961 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ბრძანებით სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ასალი დებულებისა და უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელთა ახალ თანამდებობრივ წოდებათა შემოღების შესაბამისად ღუკა ჭელიძე დამტკიცებულ იქნა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

1960 წელს ღუკა ჭელიძეს საკავშირო უმაღლესმა საატესტაციო კომიტეტიმ ქადაგი მეცნიერებაში მნიშვნელოვანი გამოკვლევებისათვის მიაწიფებული პროფესორის წოდება.

1962 წელს დამუშავდა და გამოიცა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის წესდება. ამით შეიცვალა ადრე არსებული ე.წ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის შინაგანაწესი.

ღუკა ჭელიძე უნივერსიტეტის მუშაობდა ინსტიტუტის ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად. მისი რედაქტორობით გამოიცა ინსტიტუტის პირველი წესდება, შედგენილ იქნა შინაგანაწესი (ინსტიტუტისა და საქართო საცხოვრებლის). მისივე ხელმძღვანელობით შეიქმნა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო, შედგენილ იქნა ინსტიტუტის პასპორტი ოთხ ცალად.

ღუკა ჭელიძე მაღისხმევას არ იშურებდა სასწავლო—სააღმზრდელო მუშაობისათვის ბაზის შესაქმნელად. მისი ხელმძღვანელობითა და მხარდაჭერით დაარსდა რუკული ენის, მარქსიზმ—ლენინიზმის, პოლიტიკური ეკონომიკის, მათგანატიკის სწავლების მეთოდიკის, ეკონომიკური გეოგრაფიის, პისტოლოგიის, გენეტიკისა და დარვინიზმის, პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის კაბინეტები; მოეწყო ფიზკულტურის დარბაზები და მოედნები, სამსედრო კაბინეტი და ტირი; დაარსდა მეტეოროლოგიური სადგური, გეოგრაფიული მოედანი, სასკოლო ნაკვეთი და შემდეგ მის ბაზე ბიოსადგური, სასწავლო ბაღი; შეიქმნა ფოტო—ლაპორატორია, ფიზიკის კათედრასთან სახელოსნო; შეძენილ იქნა რენტგენის დანადგარი; ბოტანიკის კაბინეტთან მოეწყო ჰერბარიუმი, უმთავრესად, იმერეთის ფეიორის დამახასიათებელი მცენარეებით; აშენდა ორანჟერეა; კაბინეტილაბორატორიები ყოველწლიურად ივებოდა ახალი ინვენტარით, ხელაწყობითა და მასალებით.

ღუკა ჭელიძის რექტორობის პერიოდში შეიქმნა მარქსიზმ—ლენინიზმის, შემდეგ სკპ ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიკის, მეცნიერული კომუნიზმის, ბოტანიკის, სპორტის, ტანკარჯიშის, მათმატიკის სწავლების მეთოდიკის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის, სამსედრო და უცხო ენათა კათედრები.

მისი თაოსნობით შეიქმნა გამომცემლობა და პროფესორ ღუკა ჭელიძის რედაქტორობით გამოვიდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის 25 ტომი.

პროფესორი ღუკა ჭელიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სტუდენტებისათვის მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების ჩამოყალიბების 25



იბებას. მისი ხელმძღვნალობით ინსტუტმა შეწყვდრა მოუწყვეტაში გადასცემას: გიორგი ახვლედიანს, აკაკი შანიძეს, გალაკტიონ ტაბაჩიშვილის კონსტანტინე გამსახურდას, გიორგი ლეონიძეს, იოსებ გრიშაშვილს, მწერალ ლევან გორუასა და სხვებს.

ლ. ჭელიძე სხვადასხვა დროს იყო ინსტიტუტის ადგილკომის თავმჯდომარე, სასწავლო განყოფილების უფროსი, საქართველოს კპ. ჭუთა-ისის საქალაქო კომიტეტის წევრი, ინსტიტუტის პარტბიუროს წევრი, საქართველოს კომპარტიის ყრილობათა დელეგატი, საქალაქო საბჭოს რამდენიმე მოწვევის დეპუტატი და სხვ.

პროფესორი ლევან ჭელიძე 25 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს. ეს ფაქტი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს მის დიდ ორგანიზატორულ ნიჭვა და რექტოროსათვის აუცილებელ ბევრ გამორჩეულ უნარს.

1962 წლიდან პროფ. ლ. ჭელიძე სამუშაოდ გადავიდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაორგანული ქიმიის კათედრის პროფესორად. 1966 წელს აირჩიეს ამავე კათედრის გამგედ, სადაც მუშაობდა 1970 წლამდე, კითხულობდა არაორგანული ქამიის კურსს ქიმიისა და ეკონომიკის ფაკულტეტებზე, მისი ხელმძღვანელობით სრულდებოდა სტუდენტთა საჯიბლო შრომები, ორგანიზებას უწევდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებისა და კონფერენციების მუშაობას.

უნივერსიტეტში მუშაობისას მისი ხელმძღვანელობით დისერტაცია დაიცვა ოთხმა ასპირანტმა, თავადაც მრავალჯერ იყო დისერტაციის მეცნიერ-შემფასებელი, რეცენზენტი და ოპონენტი.

პროფ. ლევან ჭელიძე თავმჯდომარეობდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ქიმიის კათედრათა სამეცნიერო-ტეორიულ და II კონფერენციებს. არის 60-მდე სამეცნიერო შრომის ავტორი. მის მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა დასავლეთ საქართველოს ბეტონიტური თიხების კვლევას და მნიშვნელოვნად წასწაა წინ ამ თიხების ბუნებრივ საბადოთა და ქიმიური თვისებების შესწავლის საქმე. მან შეადგინა ბეტონიტური თიხების უნიკალური კოლექცია. გარდა ამისა, ჩაატარა ცდები ამ თიხის გამოყენებით ღვინის გასაწმენდად, რის შედეგადაც დადგინდა, რომ, ამ მიზნით, კველაზე ეფექტურია ასკანველის, გუმბრინისა და ჩუნეშის თიხები, მანვე შეიმუშავა ღვინის გაწმენდის კომბინირებული მეთოდი. სავსებით სამართლიანად სპეციალისტების მიერ

იყი მიჩნეულია ბეტონიტური თიხების გამოვლენისა და მათი შემადგენ-
ლობის მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ ფუძემდებლად საქართველოში და
ლუკა ჭელიძის დაშახურება, ასევე, ღიღია ქიმიკოსთა და ბურჯიბის წევ-
შეტყველთა მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა მომზადების საქმეში. მან
არამხოლოდ როგორც გულისხმიერმა მასწავლებელმა დამსახურა პა-
ტივისცემა, არამედ კუალი დატოვა იმითაც, რომ მრავალი სტატია გამო-
აქვეყნა სასწავლო-აღმზრდელობით და სამეცნიერო-კვლევითი მუშაო-
ბის საკითხებზე.

აქტიური საზოგადოებრივი და მეცნიერული მოღვაწეობისა და პედა-
გოგთა კადრების მომზადებაში მიღწეული წარმატებებისათვის ლ. ჭელი-
ძი ორჯერ იყო დაჯილდობული „საპატიო ნიშნის“ ორდენით, მედლები-
თა და სამკერდე ნიშნით – „სახალხო განათლების წარჩინებული“.

გარდაიცვალა 1976 წლის 1 ოქტომბერს.

პროფესორ ლუკა ჭელიძის მის მიერ განვლილი ცხოვრების, მეცნი-
ერულ-პედაგოგური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის გზა მისაბაძია
ყველასათვის. მან მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე აზალვაზრდო-
ბის, უმაღლესი სასწავლებლის სამსახურს, ქიმიის მეცნიერების წინ-
სელას მოახმარა, რიცაც საპატიო აღგილი დაიმკვიდრა ქართველ მეცნი-
ერ-პედაგოგთა შორის.

0326 (ვანო) გოშხეთელიანი



ივანე გოშხეთელიანი დაიბადა 1913 წლის 15 იანვარს სოფელ ზარათში. აქვე მიიღო დაწყებითი განათლება. 1930 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი. სწავლის დამთავრებისთავე გაიგზავნა მასწავლებლად ბაღდათის რაიონის სოფელ კაკასხიდსა და წითელხევში. 1932 წელს სამუშაოდ გადმოიყვანეს ქუთაისის რაიონის სოფელ რიონის 7-წლიანი სკოლის ვამგედ. 1933-1937 წლებში სწავლობდა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე დატოვეს ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. იმავე წელს მობილიზაციის

წესით გააგზავნეს ქალაქ გორის მე-4 საშუალო სკოლის დირექტორად. 1938 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ასპირანტურაში და დაიცვა საქანდიდატო დისერტაცია.

ვ. გოშხეთელიანი 1941 წელს აირჩიეს პედაგოგიური ინსტიტუტის ზოლოგიის კათედრის დოცენტად, კითხულობდა ლექციებს დარვინიზმში, იყო დარვინიზმის კაბინეტის გამგე. სხვადასხვა დროს ის მუშაობდა: 1945-50 წლებში, პედაგოგიური ინსტიტუტის ფუნდამენტური ბიბლიოთეკის გამგედ; 1951-53 წლებში, ქუთაისის ოლქის განათლების განყოფილების გამგედ; 1953-1959 წლებში, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორად, 1959-60 წლებში, კვლავ ქუთაისის ოლქის განათლების განყოფილების გამგედ, 1960-62 წლებში ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესიონალური და სამეცნიერო მუშაობის დარგში.

ვანო გოშხეთელიანი 1962 წლის 28 აგვისტოს დაინიშნა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტი მა 1963 წლის 9 მაისს მიიღო დადგენილება – „უმაღლესი დაუსამახულო სპეციალური განათლების შემდგომი განვითარების, სპეციალისტთა მომზადებისა და გამოყენების ღონისძიებათა შესახებ“. მასში საგანგბოდ ჩაიწერა პედაგოგიურ ინსტიტუტებში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებელთა მომზადების მოწესრიგებისა და დაჩქარების თაობაზე. ამასთანავე, უპირატესობა მიეცა ერთპროფილიან სპეციალობებს სწავლების 4-წლიანი ვადით. ორპროფილიანები კი უნდა დარჩენილიყო მცირე კომპლექტიანი სკოლებისათვის. ყურადღება მიეცა სტუდენტთა სააუდიტორიო მუშაობით გადატვირთულობას. მისი მოწესრიგების მიზნით, დაწესდა აუცილებელი კვირეული სასწავლო დატვირთვა I-III კურსებზე 36 საათის, ხოლო IV-V კურსებზე - 30 საათის ოდენობით.

ინსტიტუტის რექტორატმა, ღოც. ვ. გოშხეთელიანის ხელმძღვანელობით, შეიმუშავა ღონისძიებათა გეგმა და შეუდგა ცენტრალური კომიტეტის დადგენილების ინსტიტუტის ცხოვრებაში დანერგვას, კერძოდ, სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საუდიტორიო დატვირთვის კვირეული ნორმების უნიფიცირებას.

ზემოთ ხსენებული დადგენილების საფუძველზე, ვ. გოშხეთელიანის ინიციატივით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ფიზიკისა და მათემატიკის კათედრების სასწავლო—მატერიალური ბაზა. ფიზიკის კათედრამ ახალი სასწავლო სახელოსნოების აღსაჭურვად მიიღო მანქანა-დანადგარები, ხოლო მათემატიკის კათედრას საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითმა ცენტრმა გადმოსცა უნივერსალური ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა „ურალი“, რომლის ბაზაზეც ჩამოყალიბდა შესაბამისი ლაბორატორია.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის დადგენილებით, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მაღალ-იდეურ ღონებზე კვლევა-ძიების წარმართვის მიზნით“, ჭუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ქალაქის განაპირას გადატეცა 12 პექტარი მიწის ნაკვეთი, სადაც აიგო შენობები კაბინეტ-ლაბორატორიებისათვის, სავეგეტაციო სახლი, სათბურები, ვოლიერები და სხვა დამხმარე ნაგებობები. მოეწყო მემინდვრეობის, მეხილეობის, ტექნიკური კულტურების, ვენახის ჩაის, მებოსტნეობის და დეკორატიული მუსიკეობის განყოფილებები. ბიოლოგიურ საგურაში გამოყავდათ ფლორისა და ფაუნის საუკეთესო ჯიშები, მიიღეს ქათმის ახალი სახეობები. იქვე მიმდინარეობდა სტუდენტთა საწარ-

მომ პრაქტიკა და მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო - საკვლევი სამუშაოები. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ღოცენტ ვანო გოშხეთელმამართებული მიერ ჩატარებული ცდები ფრინველებში ემბრიონული კვების მუცელის გზით განსხვავებულთვისებიანი ჯიშის გამოყვანის შესახებ.

1963 წელს შესრულდა 30 წელი პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებიდან. ამ თარიღს მიეძღვნა შრომების კრებული (ტ. XXV) და მეცნიერ-მუშაკთა (რიგით XXVII) და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები.

1963 წელს შეიქმნა კადრების განყოფილება. მის ძირითად ფუნქციად განისაზღვრა პროფესორ-მასტავლებელთა და ტექნიკურ მუშაკთა პირადი საქმეების მოწესრიგება.

ამავე წელს საფუძველი ჩაეყარა პედაგოგიური ინსტიტუტის III კორპუსის მშენებლობას.

1965 წელს ვანო გოშხეთელიანი განთავისუფლდა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან პირადი განცხადების საფუძველზე. იგი სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა ზოოლოგის კათედრის დოცენტად, აქტიურად განაგრძობდა სამეცნიერო მუშაობას, გამოაქვეყნა არაურთი საინტერესო გამოკვლევა, რითაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზოოლოგიის შესწავლისა და განვითარების საქმეში.

ვანო გოშხეთელიანი გარდაიცვალა 1993 წელს.

ქონსტანტინე მექველია



კონსტანტინე მექველია დაიბადა 1907 წელს სოფელ ნახახულევში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის სიტყვიერების განყოფილების სრული კურსი. 1933 წელს პედაგოგიური ინსტიტუტის ქუთაისში გაღმოტანასთან დაკავშირებით, გადმოიყვანეს ქალაქ ქუთაისში. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორის დენტორ რუხაძის 1933 წლის 4 თებერვლის №7 ბრძანებით კონსტანტინე მექველია დაინიშნა ქართულ ენასა და ლიტერატურაში ასისტენტის

თანამდებობაზე, ხოლო №61 ბრძანებით ისტორიისა და ლიტერატურის განყოფილების გამგედ. იმავე წლიდან კითხულობდა ლექციებს ქართული ლიტერატურის ისტორიაში, 1937 წელს, როგორც ინსტიტუტის ასპირანტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიური ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ქუთაისის პედინსტიტუტის სააქტო დარბაზში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

კ. მექველია 1935-1940 წლებში იყო ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ხოლო 1940-1945 წლებში ამავე ფაკულტეტის დეკანი. 1945-1950 წლებში მუშაობდა - ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სასწავლო-სამეცნიერო მუშაობის დარგში, პარალელურად, 1942 წლიდან, ხელმძღვანელობდა ქართული ლიტერატურის კათედრას. 1960 წელს დაიცვა საღოქტორო დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: „თერგდალეულები და რუსი რევოლუციონერები XIX საუკუნის სამოციან წლებში“. 1961 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება.

კონსტანტინე მექველია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის 1965 წლის 3 სექტემბრის ბრძანებით დაინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე.

1966 წლის 3 სექტემბერს სკპპ ცენტრალურშა კომიტეტმა და სხვა კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება და სა- ციალისტთა მომზადების გაუმჯობესებისა და ქვეყნაში უმაღლესი და სა- შუალო სპეციალური განათლების ხელმძღვანელობას სრულყოფის ღო- ნისძიებათა შესახებ“. დადგენილებაში აღნიშნული იყო, რომ „როგორიც პრაქტიკაში აჩვენა სამუშაოდან მოწყვეტით სწავლებას (დღის სწავლება) ძირითადი უპირატესობები გააჩნია, როგორც სპეციალისტთა მომზა- დების ხარისხის გაუმჯობესების, ისე კონომიკური თვალსაზრისით“. ამიტომ ინსტიტუტში წარმოებისაგან მოუწყვეტილივ (საღამოს და და- უსწრებელ სწავლებაზე) შემცირდა მისაღები კონტიგენტი, რამაც ქუთა- ისის პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტთა კონტიგენტის შემცირება გამოიწვია.

დადგენილებამ ცვლილებები შეიტანა უმაღლეს სასწავლებლებში მი- ღების წესებში. კერძოდ, ამიტოდან ჩარიცხვის უპირატესი უფლებით, მი უხედავად დაგროვილი ქულების რაოდენობისა, სარგებლობდნენ წარმო- ებების, კოლეგურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ წარმოგზავნილი ის პარები, რომლებმაც მისა- ღებ გამოცდებზე დადგითი შეფასება მიიღეს. ეს ტენდენცია განხორცი- ელდა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტშიც.

ცვლილებები მოხდა კურსდამთავრებულთათვეს დიპლომების გადა- ცემის საქმეში. დადგინდა, რომ, თუ აქამდე კურსდამთავრებულები დიპ- ლომის მიღების უფლებით სარგებლობდნენ მხოლოდ ერთი წლის სა- მუშაო სტაჟის გავლის შემდეგ, ამ დროიდან დიპლომი გადასცემიდათ სახელმწიფო გამოცდების ჩაბარებისთანავე. პედაგოგიურ ინსტიტუტში რექტორი პროფ. კ. მეგველია დიპლომების გადასცემდა საზოგო ვითა- რებაში, წარჩინებით კურსდამთავრებულებს კი ეძღვოდათ სამასსოფრო საჩუქრები.

სტუდენტთა მიერ მეცნიერული კვლევის მეთოდების დაუფლების მიზ- ნით დადგენილების საფუძველზე ინსტიტუტში დაიწყო პროფესორ-მას- წავლებელთა სამეცნიერო მუშაობაში სტუდენტთა მონაწილეობის გა- ფართოება.

1967 წელს ჩატარდა მეცნიერ-მუშაკთა სამეცნიერო კონფერენცია. მის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოწვევული იყვნენ კიროვო- ბადისა და ლენინაკანის პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორ-მას- წავლებლები.

1967-1970 წლები გამოიცა ინსტიტუტის შრომების XXX-XXXIII ტომი.

1972 წლის 18 ივნისს სკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სასტაციო შირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „ქვეყანაში უმაღლესი განათლების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ“. დადგენილება მოითხოვდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებს 1972-1974 წლებში დაქმთავრებინათ ახალ, სრულყოფილ, სასწავლო გეგმებსა და პროგრამებზე გადასვლა. ამით განხორციელდა ფართო პროფესიის სპეციალისტების მომზადება. ზოგადმეცნიერული დისციპლინების სწავლების ხარისხის ამაღლებასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის გაუმჯობესებას.

ინსტიტუტში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა პროფესორ-მასწავლებელთა მიერ სამსახურო ერთეულების დაკავების წესში. განსაკუთრებული მოთხოვნები წაუყენეს სამეცნიერო ნაშრომებს მათი შესრულებას დონის ასამაღლებლად.

დიდი ყურადღება შეიქცა და მინიმუმამდე დაკავიდა პროტეციონიზმი და დაიბერალიზმი, შემცირდა ლექცია-პრაქტიკუმების უმიზესოდ გაცდენა, გაუმჯობესდა საშემსრულებლო დისციპლინა.

1972 წლიდან შეწყდა ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებულის გამოცემა. გადაწყდა რესპუბლიკის პედაგოგიური ინსტიტუტების შრომების ერთობლივი გამოცემა. ამ დარგის მეთაურ ინსტიტუტიდ გამოცხადდა ითილისის აღ. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელსაც მოეცა უფლება შესრულებული გამოკვლევების გამოცემისა.

1966 წელს დასრულდა ინსტიტუტის III კორპუსის, ხოლო 1972 წელს II კორპუსის მშენებლობა, სადაც განთავსდა ფიზიკის ლაბორატორია, დაწყებითი განათლების ფაკულტეტის დეკანატი და სასწავლო კაბინეტები, ფუნდამენტური ბიბლიოთეკა, უმაღლესი სკოლებისათვის მოსამახდებლ აბიტურიენტთა კურსები, ცალკე გამოიყო ოთახები არქივისა და შრომითი სწავლებისათვის.

მან მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის გეთილმოწყობის მიზნით.

კონსტანტინე მექელია 1973 წლის სექტემბერში პირადი განცხადების საფუძველზე განთავისუფლდა რექტორის თანამდებობიდან.

პროფესორი კ. მექელიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის მეცნიერული შესწავლის საქმეში. იგი

ავტორია აღ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების შესახებ დაწერილი შრომებისა, პირველმა შეისწავლა ჭავჭავაძის თული სამოციანელების პეტერბურგის პერიოდი ლენინგრადის აზერბაიჯანის მასალების საფუძველზე, რის შედეგადაც არაურთი მანამდე უცნობი ფაქტი თუ ისფორმაცია გახდა ხელმისწვდომი. მისი გამოკვლევებიდან განსაკუთრებით გამოიჩინა წიგნები: 1. თერგდალეულები და რუსთის სამოციანი წლების რევოლუციონური მოღვაწეები (თბილისი, გამ.: „ცოდნა“, 1959); 2. თერგდალეული კირილე ლორთქიფანიე (თბილისი, გამ.: „განათლება“, 1965); 3. ლიტერატურული ნარკევები (თბილისი, გამ.: „საბჭოთა საქართველო, 1967).

გარდა სამეცნიერო მოღვაწეობისა, კ. მეძველია 1927 წლიდან აქვთ ნებდა ლექსებს, ნოველებსა და პიესებს ნესტორაშვილისა და თამაზურის ფსევდონიმით. იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. ნაყოფიერი შემოქმედებითი და ორგანიზატორული საქმიანობისათვის მიღებული პქნება ჯილდოები: საპატიო ნიშნის ორი ორდენი, მედლები „კავკასიის დაცვისათვის“, „დიდი სამამულო ომის პერიოდში (1940-1945) მამაცური შრომისათვის“, „საქართველოს უმაღლესი საბჭოს ორი საპატიო სიგელი“. 1967 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება ქართული ფილოლოგიური მეცნიერების განვითარებაში. ბაში შეტანილი წვლილისათვის.

კონსტანტინე მეძველია გარდაიცვალა 1974 წლის იანვარში.



გიორგი ჩხაიძე დაიბადა 1915 წლის 8 ნოემბერს ოზურგეთის მაზრის სოფელ ხრიალეთში. 1922-1930 წლებში სწავლობდა სოფელ ხრიალეთის (ამჟამად შრომა) შვიდწლიან სკოლაში, ხოლო 1930-1931 წლებში - ბათუმის სამშენებლო სასწავლებელში, 1931-1934 წლებში - თბილისის საფინანსო-ეკონომიკურ ტექნიკუმში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა და სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე. 1938 წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში პოლიტიკური ეკონომის სპეციალობით. ასპირანტურაში სწავლასთან ერთად მიჰყავდა პოლიტიკური ეკონომის კურსი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსიტუტის დაუსწრებელ განყოფილებაზე. ასპირანტურაში სწავლობდა 1941 წლის ივნისამდე.

გ. ჩხაიძე 1941 წლის ივნისში გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. მონაწილეობა აქვს მიღებული რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ალბანეთის, იუგოსლავის, ჩეხესლავაკის და ავსტრიის განთავისუფლებისათვის პრომოლებში. სამხედრო სამსახუროებრივი მოვალეობის სამაგალითოდ შესრულებისათვის დაჯილდოვდა მედლებით: "საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის“, „გერმანიაზე გამარჯვებისათვის“.

1946 წლის ივნისში დემობილიზაციის წესით განთავისუფლდა საბჭოთა არმიის რიგებიდან და სწავლა გააგრძელა ასპირანტურაში, რომელიც დაამთავრა 1946 წლის დეკემბერში და მუშაობა დაიწყო თბილისის ზოოვეტერინალურ ინსტიტუტში ასისტენტად მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრაზე.

1947 წლის ნოემბრიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით გიორგი ჩხაიძე უფროს მასწავლებლად გადმოიყვანეს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომის კათედრაზე, სადაც მუშაობდა 1954 წლის სექტემბრამდე. 1951-1954 წლებში პარალელურად ასრულებდა ჯერ ისტორიის ფაკულ-

ტეტის დეკანის, ხოლო შემდეგ ისტორია-ფილოლოგის ფაკულტეტის
დეკანის მოადგილის მოვალეობას.

1950-1952 წლებში შეთავსებით მუშაობდა ქუთაისის პარტიის საქართველოს კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტის დირექტორად, 1954-1955 წლებში - ქუთაისის სასოფლო-სამეცნიერო ინსტიტუტის პოლიტიკური კონომიტის კათედრის გამგედ, 1955 წლის სექტემბრიდან კი კვლავ გადაიყვანეს სამუშაოდ პედაგოგიური ინსტიტუტში პოლიტიკური კონომიტის კათედრაზე.

1957 წელს დააჯილდოვეს სამკერდე ნიშნით - "სახალხო განათლების წარჩინებული".

გივი ჩხაიძემ 1960 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ეკონომიკურ მცნიერებათა კანდიდატის სამცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოება საქართველოს სსრ მეჩაიობის კოლმეურნეობებში (ექვსი კოლმეურნეობის მაგალითზე)". 1961 წლის ოქტომბერში უმაღლესი სააგესტაციო კომიტის გადაწყვეტილებით მიენიჭა დოკუმენტის სამუშაოერო წოდება და აირჩიეს პოლიტიკური კონომიტის კათედრის დოკუმენტის თანამდებობაზე.

1960 წლის აპრილში გიორგი ჩხაიძე დაინიშნა პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ დაუსწრებელი სწავლების დაწესი, ხოლო ამავე წლის 24 აგვისტოდან - ფაკულტეტის დეკანად. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა 1973 წლის 10 ივლისამდე. 1973 წლის 10 ივლისიდან 1974 წლის 5 მარტამდე დროებით ასრულებდა ინსტიტუტის სასწავლო-სამუშაოერო დარგის პროექტორის მოვალეობას.

1974 წლის 6 მარტს საქართველოს სსრ უმაღლესი და სამუშალო სპეციალური განათლების მინისტრ გიორგი ჯიბლაძის ბრძანებით გიორგი ჩხაიძე დაინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. ამავდროულად ის აირჩიეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის წევრად, ხოლო 1975 წელს კი - მშობელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

1974 წლის სკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის კურსის სწავლების ვადის ორ წლამდე გაზრდასა და მეცნიერულ კომუნიზმში ერთიანი სახელმწიფო გამოცდების შემოღებას, რაც ნიშნავდა, რომ სხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში სახელმწიფო გამოცდები აღარ ჩატარდებოდა (გარდა ფილოსოფიური, კონომიკური და ისტორი-

უფრი სპეციალობებისა) და იგი სავალდებულო გახდა მხოლოდ მეცნიერებულ კომუნიზმში.

საზოგადოებრივი მეცნიერებათა სწავლების ძირეული გაუშფრიბესებისათვის და ორგანიზაციულ—მეთოდური საკითხების მოსაგარებლად პედაგოგიურ ინსტიტუტში გიორგი ჩხაიძის თავმჯდომარეობით შეიქმნა საზოგადოებრივ მეცნიერებათა საბჭო.

1974 წლის სექტემბრიდან სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1974 წლის 7 აგვისტოს საინსტრუქციო წერილიდან გამომდინარე, პირველ კურსებზე შემოღებულ იქნა ახალი სავალდებულო სალექციო კურსი „სპეციალობის შესავალი“. ტერსის მიზანი იყო, არჩეული სპეციალობის მიხედვით, პირველგურსელებისათვის გაეცნო უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია.

სტუდენტთა ცოდნის დონის ამაღლებისა და საერთოდ, სასწავლო პროცესის ხარისხს ხომისიერი გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვანი სიახლე იყო კოლოკვიუმების პრაქტიკის დანერგვა. სწავლების ორგანიზაციის ეს ფორმა ხელს უწყობდა სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის შედეგების მიმდინარე შემოწმებას, ავლენდა იმ პრობლემებს, რომელთა დამტკიცებასაც საგამოცდო სესიის დასაწყისამდე უნდა მიქცეოდა ჯეროვანი ქრისტიანული კოლოკვიუმები კალენდარულ გაგმებში იქნა გაწერილი.

1974 წელს დაარსდა საზოგადოებრივ პროფესიათა მეორადი ფაკულტეტი, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყო სტუდენტი ახალგაზრდობის შემოწმებებითი უნარის გამოვლენისათვის. გაუმჯობესდა ინსტიტუტის სასწავლო მატერიალური ბაზა. 1975–76 სასწავლო წელს შეიქმნა სწავლების საშუალებათა გამოყენების ლაბორატორია, რეკონსტრუქცია ჩაუტარდა კარტოგრაფია–გეოლოგიის კაბინეტსა და ზოოლიგიურ მუზეუმს.

1978 წლის 17 მაისს პირადი განცხადების საფუძველზე გიორგი ჩხაიძე განთავისუფლდა პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორის თანამდებობიდან და დაიკავა პოლიტიკური ეკონომიკის კათედრის დოცენტის თანამდებობა. იმავე წლის 1 სექტემბრიდან კი სამუშაოდ გადავიდა საქართველოს პოლიტიკიკურ ინსტიტუტში პოლიტიკური ეკონომიკის კათედრაზე, წლების განმავლობაში ეწეოდა აქტიურ სამეცნიერო საქმიანობას, არის ირმოცხველი მეტი სამეცნიერო შრომის ავტორი ეკონომიკის დარგში.

გიორგი ჩხაიძე გარდაცვალა 1994 წლის თებერვალში.

ოთარ ბაკურაძე



ოთარ მიხეილის ძე ბაკურაძე დაიბადა 1926 წლის 14 იანვარს ქალაქ თელავში. 1943 წელს ოქროს მედალზე დამთავრა თელავის პირველი საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ი. ვ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე.

1949 წელს დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე და მუშაობა დაიწყო ფილოსოფიის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ თანამშრომლად. 1952-1953 წლებში შეთავსებით იყო თბილისის თეატრალუ-

რი ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

1952 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტში დაიცა საქანდიდატო დისერტაცია თემაზე: „მარქსის ფილოსოფიურ შეხედულებათა ჩამოყალიბების საკითხისათვის“. იგი მაღალ გამოიცა წიგნად და მეცნიერს საერთაშორისო აღიარება მოუტანა. 1956 წელს ითარგმნა რუსულ ენაზე, ხოლო 1958 წელს ჩინურად და გამოიცა პეკინში. 1960 წელს ნაშრომი დაიბაჭდა პარიზში.

ო. ბაკურაზე 1956 წლიდან დაინიშნა ფილოსოფიის ინსტიტუტის ისტორიული მატერიალიზმის განყოფილების გამგედ, პარალელურად მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად. 60-იან წლებში იგი იწყებს ფილოსოფიის ერთ-ერთი უძველესი და ურთულესი პრობლემის - თავისუფლებისა და აუცილებლობის საკითხის მეცნიერეულ კვლევას. 1964 წელს დაიცა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: “თავისუფლება და აუცილებლობა” და მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1969 წელს ლენინგრადში გამოქვეყნდა ო. ბაკურაძის ნაშრომი, რომელიც ღირებულების პრობლემას ეხებოდა, ხოლო 1970 წელს ვენაში ინგლისურ ენაზე დაისტამბა: „ჭეშმარიტება, ღირებულება, მორალური მსჯელობა“, რამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა მეცნიერის საერთაშორისო ავტორიტეტი. საყოველთაო აღიარების პატივი მას შედგომ წლებ-

შიც ხვდა წილად. 1973 წელს ნიუი-ორკში ამერიკულმა მკვლევარმა ქართველ ფილოსოფიაზე კამრაქვეყნა ნაშრომი, რომელშიც „ბრილიზმის განვითარების“ წარმომადგენლებიდან ერთ-ერთი პროფ. ოთარ ბაკურიაშვილმა სახელი. გამოქვეყნებული პქონდა სახელმძღვანელო - „დიალექტიკური მატერიალიზმი“.

1970 წელს ოთარ ბაკურაძე გადაიყვანეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად. მისი ხელმძღვანელობის პერიოდი ერთ-ერთი წარმატებული და გამორჩეულია ბათუმის უნივერსიტეტის ისტორიაში.

1978 წელს პროფესორი ოთარ ბაკურაძე დაინიშნა აღ. წულუკიძის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორად.

ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში კვლავ დაისვა საკითხი ქუთაისის საუნივერსიტეტო ცენტრად გადაქცევისა, მაგრამ ამ იდეას სერიოზული დაარტყმა მიყენება 1978 წელს სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გადაკეთებამ.

1980 წლისთვის ინსტიტუტში არსებობდა 7 ფაკულტეტი 22 კათედრით, რომლებიც ართიანებდა 180 პროფესორ-მასწავლებელს (მათ შორის 6 პროფესორია და 72 ღოცენტს). სწავლების ყველა ფორმაზე ირაცხებოდა 3404 სტუდენტი. უნივერსიტეტის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა სასწავლი. გეგმებისა და პროგრამების მაღალხარისხოვნად შესრულდება და მაღალკვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება, რასაც მუსიკად ეწეოდა კონტროლი. სწავლების საჭირობოროგო საკითხებზე მუსიკად მსჯელობდნენ სამეცნიერო საბჭოს სხდომებზე. განსაკუთრებული კურადღება ეთმობოდა სასწავლო და მრომის დისციპლინის განმტკიცებას. გაიზარდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება.

1978-79 სასწავლო წელს უცხო ენების კათედრასთან შეიქმნა კინოდა და დიაფილმების საჩენებელი აუდიტორია. №1114 აუდიტორიაში დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა დაბნელების ავტორატური სისტემა, ასევე, კინოსაპროექციო აპარატურით აღიჭურვა მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კაბინეტი.

1980 წლისათვის უცხოურ ენათა კათედრაზე დამონტაჟდა და ექსპლუატაციაში შევიდა სამამულო წარმოების ლინგვისტური კაბინეტი „ელუა“. რესული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტთა სტუდენტთათვის დამონტაჟდა ლინგვისტური კაბინეტი „ЛКФИ-72“. რეკონსტრუირებულ იქნა ფიზიკის კათედრის ლაბორატორიები.

სასწავლო პროცესთან ერთად ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარებდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის კუთხით. მეცნიერების დაზღვრის მიზანი ხელვით დაინტერგა კათედრების მიერ კომპლექსური თემების დამუშავების პრაქტიკა.

ინსტიტუტის რექტორის უშუალო მითითებით ნაყოფიერი მუშაობა გაშალა სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში. ცვლილება განიცადა ხელმძღვანელობის ორგანიზაციულმა სტრუქტურამ. 1979 წელს შეიქმნა სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რესპუბლიკური საბჭო, რომლის საფუძველზეც ანალოგიური სახელმწიფო დაარსდა ინსტიტუტებში. ამავე წელს ასეთივე საბჭო შეიქმნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტში პროფ. ოთარ ბაკურაძის თავმჯდომარეობით. იგი ხელმძღვანელობდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობის ისეთ საკითხებს როგორებიცაა: სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაგეგმვა, მუშაობის წარმართვა და კონტროლი, სამეცნიერო-ტექნიკური და საერთო საინსტიტუტო ღონისძიებების ჩატარება, სტუდენტთა კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელობის ღონის ამაღლება და სხვა.

1981–1985 წლებში შემუშავდა სტუდენტთა აღზრდის კომპლექსური გეგმა. ინსტრუმეტურად ტარდებოდა სხვადასხვა მნიშვნელოვანი ისტორიული თარიღებისადმი მიძღვნილი მეცნიერ-მუშაკთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციები.

1979 წლის ივნისში აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით მოეწყო სამეცნიერო კონფერენცია; იმავე წლის ნოემბერში საზოგადო აღინიშნა პოეტ-აკადემიკოს ირაკლი აბაშიძის დაბადების 70 წლისთავი. 1980 წლის დეკემბერში ჩატარდა დიდი ქართველი მხედართმთავრის გიორგი სააკაძის დაბადების 400 წლის აღსანიშნავი სამეცნიერო კონფერენცია და საღამო – „როგორ უყვართ ჩვენში“.

1978–1985 წლებში პროფესორი ოთარ ბაკურაძე ვანსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა სტუდენტთა ჩართვას მთიმით სემესტრებში. სტუდენტ ვაჟთა საამშენებლო რაზმი მესამე შრომით სემესტრს ატარებდა თაორეთია ასსრ ქალაქ ბრეժევსკა (ყოფილი ნაბერუნიე ჩელნი) და ქალაქ მურმანსკში (მურმანსკის ოლქი), ხოლო სტუდენტ გოგონათა რაზმი – „კოლხეთი“ ხობის რაიონის სოფელ ზიბულის ჩაის პლანტაციებში. როგორც მაშინდელი პრესა იუწყებოდა, სტუდენტები გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოს დიდი გადაჭარბებით ასრულებინენ.

1978 წელს პირველად მოუწყვეს შეხვედრა ე.წ. „ორმოცდაზურანებს“, ანუ მათ, ვინც 45 წელი იმუშავა ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში. ასეთმა შეხვედრებმა მომავალ წლებში სისტემატური ხასიათი მიიღო.

1980 წელს დაიწყო და 1982 წელს გორის პედაგოგიური ინსტიტუტი გარდაიქმნა სააღრიცხვო—ეკონომიკური ინსტიტუტად. ამის გამო თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააღრიცხვო—ეკონომიკური ფაკულტეტის ქუთაისის ფილიალში მიღება შეწყდა.

1982–83 სასწავლო წელს უცხოური ენების შემსწავლელ კურსებზე გაიხსნა ჯგუფები ტექნიკური ინტელიგენციისა და ასპირანტთათვის, აგრეთვე, ჩამოყალიბდა რუსული ენის შემსწავლელი ერთწლიანი კურსები.

1983 წელს პროფესორ ოთარ ბაკურაძის ხელმძღვანელობით ღირსეულად აღინიშნა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის 50 წლის თუბილე მოეწყო გარდაცვლილ და სამამულო ოშმი დაღუპულ პროფესორ—მასწავლებელთა და სტუდენტთა ხსოვნის საღამოები, შეხვედრები სახელოვან კურსდამთავრებულებთან.

დაწესდა აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის სახელობის სტიპენდია, ლადო ასათაიანის სახელი მიეკუთვნა ინსტიტუტის ახალგაზრდა შემოქმედთა სტუდენტურ წრეს. მოეწყო საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. ჩატარდა სტუდენტთა სპარტაკიადა, სამუცნიერო სესიები და კონფერენციები. გამოიცა ბუკლეტი და გამოკლევა „ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი—50“. უნივერსიტეტს ეწვია მრავალი სახელოვანი სტუდია. მიღებულ იქნა უმრავი მილოცვა. პედაგოგიური ინსტიტუტის დღეები ჩატარდა დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქება და რაიონულ ცენტრში. კაპიტალურად შეკეთდა ინსტიტუტის სასწავლო კორპუსები.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ინსტიტუტი დაჯილდოვდა პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, ხოლო ინსტიტუტის თანამშრომლებს განათლების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭათ წოდებები.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრმა დ.ი. ჩხიკვაშვილმა ინსტიტუტის კოლექტივს გადასცა გარდამავალი წითელი დროშა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ოთარ ბაკურაძე ყველგან, სადაც კი მუშაობდა, გამოირჩეოდა საქმისადმი სიყვარულით, კეთილსინდისიერი, კოლეგიალური დამოკიდებულებით.

ამიტომაც განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა სტუდენტ-ახალგაზრდობასა და თანამშრომლებს შორის. იგი ორგანიზატორული და საქონის წევადობრივ საქმიანობას ნაყოფიერად უთავსებდა სამეცნიერო მოღვაწეობას, რაზეც ნათლად მეტყველებს მის მიერ დატოვებული უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერული მემკვიდრეობა.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს ბრძანებით (№3-35 21.04. 1986) ოთარ მიხეილის ძე ბაკურაძე გათავისუფლდა ინსტიტუტის რექტორის თანამდებობიდან და გადაყვანილ იქნა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრის გამგედ.

ნაყოფიერი სამეცნიერო, ორგანიზატორული და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის დაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

პროფესორი ოთარ ბაკურაძე გარდაიცვალა 1986 წლის აგვისტოში.

ნაცილი ქახაურიძე



1986 წელს უნივერსიტეტის მეცნიერებების და დანიშნულების დოკუმენტი ნანული კაკაურიძე.

ნანული კაკაურიძე დაიბადა 1940 წელს ქალაქ ქუთაისში. 1957 წელს დამთავრა ქუთაისის მე-3 საშუალო სკოლა ოქროს მედლით, ხოლო 1958 წელს წარჩინებით დაასრულა ქუთაისის მელიტონ ბაღანანიგაძის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი. 1957-1962 წლებში სწავლობდა ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენა, ლიტერატურა და გერმანული ენის სპეციალობით, რომელიც, ასევე, წარჩინებით დაასრულა. 1958-1965 წლებში იყო ფორტეპაიონის ჭრასის პედაგოგი ქუთაისის მელიტონ ბაღანანიგაძის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელში.

1962 წელს ინსტიტუტის დამთავრებისთანავე დატოვეს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტის უცხო ენათა კათედრის მასწავლებლად, სადაც მუშაობდა 1965 წლამდე.

1965-1986 წლებში იყო ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის მასწავლებლი, უფროსი მასწავლებლი, დოკუმენტი.

1967-1970 წლებში სწავლობდა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში გერმანული ლიტერატურის ისტორიის სპეციალობით. 1972 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლენცის სოციალური დრამები“ და მიენიჭა მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, შემდეგ კი დოკუმენტის წოდება.

1974 წელს აირჩიეს ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეპანად, საიდანაც 1975 წელს გადაიყვანეს ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მესამე მდივნად. აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობდა 1986 წლამდე.

1989 წელს დაცუვა სადოქტორო დისერტაცია – „შტურმერთა და იქნის წრის რომანტიკოსთა ლიტერატურულ – ესთეტიკური შეხვეულებები“; 1990 წელს კი მიენიჭა პროფესორის წოდება.

პროფესორ ნანული კაკაურიძის რექტორობის პერიოდში ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პრაქტიკულ, სასემინარო და ლაბორატორიულ სამუშაოებს; შემოღებულ იქნა ახალი სპეციურსები; დამკვიდრდა სტუდენტთა ეტაპობრივი ჩათვლებისა და საკონტროლო სამუშაოების პრაქტიკა; გადახალისდა სასწავლო გეგმები და პროგრამები; სტუდენტთა განათლების ჰუმანიტარიზაციის მიზნით, არასპეციალურ ფაქულტეტებზე დაიწყო საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის სასწავლო კურსების სწავლება; ყოველწლიურად მიმდინარეობდა სტუდენტთა ანკეტირება „ლექტორი სტუდენტის თვალით“; დაინერგა საჯარი ლექციების ჩატარების პრაქტიკა; გაფორმდა ხელშეკრულებები ქალაქის წარმოება დაწუსებულებებთან. წარმოების ინტერესებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის თანამშრომლები ამუშავებდნენ სახელშეკრულებო თემებსა და იღვიძნენ გარკვეულ დაფინანსებას.

1988 წელს აღინიშნა ინსტიტუტის დაარსებიდან 55 წლისთავი. რექტორის ძალის ხმევით დიდი მუშაობა ჩატარდა უმაღლესი სასწავლებლის სასწავლო – მატერიალური ბაზის გასაუმჯობესებლად. კაპიტალური შეკეთების შემდეგ სრულიად იცვალა სახე მთავარი კორპუსის ინტერიერმა, მეორე და მესამე კორპუსებმა. მეორე და მესამე სასწავლო კორპუსებს შორის ჩაშენდა მეოთხე კორპუსი, რის შედეგადც ინსტიტუტს შემატა ახალი კაბინეტ – ლაბორატორიები (მექანიკის, ელექტრონის, ბიოქიმიური, ორგანული ქიმიის), სტამბა. სპორტულ დარბაზზე მიშენდა მაგიდის ჩინგაძეოს დარბაზი. შეძენილ იქნა ელექტრონულ – გამოთვლითი ტექნიკა. მოწყობით რამდენიმე ლინგვოცონური კაბინეტი, სატელეფონო კომუტატორი. დაარსდა ინფორმატიკისა და ინფორმატიკის მეთოდიების სწავლების კათედრა. შეძენილ იქნა ქსეროქსის ტიპის გასამრავლებელი საშუალებები. კეთილმოწყობით უნივერსიტეტის ეხო, სპორტული მოედნები, სასადიღო. შეიცვალა გათბობის სისტემა. საფუძველი ჩაუყარა ბიბლიოთეკის წიგნთსაცავის მშენებლობას. მომზადდა სამშენებლო პროექტები: აგრობიოლოგიური სადგურის, შრომისა და სპორტულ გამაჯანსაღებელი ბანაკის. ყოველივე ზემო აღნიშნული თვალსაჩინო დასტურია იმისა, რომ პროფესორმა ნანული კაკაურიძემ ყველაფერი გაკეთა, რათა პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტად გარდაქმნის იღვა რეალობად ექცია.



1989 წლის დეკემბრიდან, საქონის საუნივერსიტეტო კატეგორიული საკუთხევლზე, ქართველი პედაგოგიური ინსტიტუტის მიენიჭა აუკციონური ღის სახელი, ნაცვლად აღ. წულუკიძისა.

1990 წლის ივნისში ქუთაისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა აღმრა შეამდგომლობა და შესაბამის უწყებებთან შეთანხმების შემდეგ საქართველოს მთავრობის 3 სექტემბრის №454 დადგენილებით პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამდენად, პედაგოგიური ინსტიტუტი 1990 წლის 20 სექტემბერს გარდაიქმნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რაც ლოგიკური დაგვირგვინება იყო იმ დიდი საქმიანობისა, რომელსაც ეს ინსტიტუტი წარმატებით ეწეოდა მისი არსებობის თთქმის ეჭვის ათწლეულის განმავლობაში. უნივერსიტეტი აკურთხა და დალოცა სერულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქია ილია II-მ. პროფესიონალური კატაურიძეს წილად ხვდა პატივი იმისა, რომ 1990-1991 წლებში ყოფილიყო აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

ინსტიტუტის უნივერსიტეტიად გარდაქმნას მოჰყვა არსებითი ცვლიფუბები როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო მუშაობის პროცესში. ინტელექტუალურ ცხოვრებაში. გარდა პედაგოგიური კადრებისა, უნივერსიტეტმა დაიწყო მეცნიერ-მკვლევრების მომზადება.

კერ კოდევ 1987 წელს დაარსდა ინფორმატიკის, გამოთვლითი მეთოდებისა და მათემატიკის სწავლების მეთოდიკის კათედრა, უნივერსიტეტის სტატუსის მიღებამ კი განაპირობა, ამ თვალსაზრისით, უფრო მასშტაბური ხასიათის შემდეგი სტრუქტურული ცვლილებები: ფილოლოგის აკადემიუტის ეწოდა ჯრობულ ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, სატორია-ფილოლოგის ფაკულტეტი გაიყო და შეიქმნა ფილოლოგისა და ისტორიის დამოუკიდებელი ფაკულტეტები. ჩამოყალბდა საერთოდ ხალი, თუ შედარებით კიწრო პროფილის მქონე კათედრები: უურნალისტის (1991), არქეოლოგისა და კულტურის ისტორიის (1990), საზოგადოეთის ლიტერატურის ისტორიის (1990), რუსული ლიტერატურის ისტორიის (1990), პოლიტოლოგის (1991), ინგლისური ენის (1991), გერმანული ენის (1991), ფრანგული ენის (1991), პედაგოგიკის (1991), ფინელოლოგისა (1991). 1990 წელს სსრკ-ის ხალხთა ისტორიის კათედრის ბაზაზე აღდგენილ იქნა 1949 წელს გაუქმებული საქართველოს ისტორიის კათედრა. ამავე წელს უნივერსიტეტის სასწავლო გეგმებიდან ამოიღეს სსრკ-ის ხალხთა ისტორია.



პროფესორ ნანული კაკაურიძის ხელმძღვანელობით დამყარდა საქამიანობა კონტაქტების უცხოეთის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან გაფორმდა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სტუდენტებისა და დოქტორანტების გაცვლას; ორივე უნივერსიტეტის პროფესორთა სასწავლო და სამეცნიერო მივლინებებს; ერთობლივ ღონისძიებებსა და მეცნიერულ კლუბებს.

საუნივერსიტეტო სპეციალობების გაძლიერების მიზნით, მოწვევული იქნა გამორჩეული რანგის 15 მეცნიერი. აქვთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2 წევრ-კორსპოდენტი, 9 პროფესორი, 6 მეცნიერებათა კანდიდატი, დოკტორი. კათედრებზე სამუშაოდ აყვანილ იქნა 7 პერსპექტიული სტუდენტი.

1990 წელს, პედაგოგიური ინსტიტუტის უნივერსიტეტიდ გარდაქმნასთან დაკავშირდებით, რექტორის თაოსნობით 1933 წელს დაარსებულ გიორგი კოკოჩაშვილის სახელობის მუზეუმს გამოიყო საქმაოდ დიდი ფართი და ჩაუტარდა საფუძვლიანი რეკონსტრუქცია.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებას შეუდგა 2 სამეცნიერო—კვლევითი — ქუთაისის ლიტერატურული წარსულის შემსწავლელი და დიდაქტიკის — ლაბორატორია.

ქუთაისის ლიტერატურული წარსულის შემსწავლელ ლაბორატორიის მიზანსა და დანიშნულებას წარმოადგენდა ქუთაისისა და მისი შემოგარენის ლიტერატურული წარსულის შესწავლა, დამუშავება და გამოცემა.

1990 წელს პროფ. ნანული კაკაურიძის ინიციატივით პედაგოგიკა-ფილოლოგიის კათედრასთან შეიქმნა დიდაქტიკის ლაბორატორია, რომელიც ქურინებას უწევდა ინსტიტუტთან დაარსებულ სკოლა-გიმნაზიაში სწავლა-აღწრდის ხორმალურად ფუნქციონირების პროცესს.

ლაბორატორიის თანამშრომელთა მიერ შემუშავებულ მეცნიერულ იდეებს ახორციელებდნენ სკოლის პრაქტიკოსი მასწავლებლები. ურთიერთთანამშრომლობით იქმნებოდა დიდაქტიკური მასალები, მუშავდებოდა და მეთოდური მითიობები სხვადასხვა საგანში.

ლაბორატორიის კვლევა-ძებითი მუშაობა, ძირითადად, ბავშვის საერთო განვითარების აკადემიკოს დ. უზნაბის განწყობის თეორიის მოძღვრებას ეფუძნებოდა. წინა პლანზე წამოწეული იყო სწავლების განმავითარებელი ფუნქცია. ექსპრიმენტული დიდაქტიკის ლაბორატორია პრინციპულად ცვლიდა მოსწავლეებისა და მასწავლებლის ურთიერთდა-

მოკიდებულებას. იგი მასწავლებელ-მოსწავლის თანამშრომლობის სპუზა-
ნურ საწყისებზე იყო „გდებული“.

ლაბორატორიაში დამუშავდა კლასგარეშე მუშაობის შინაგანი და მი-
სი ორგანიზება, ვაკეცილების სერია ზნეობრივ-ეთიკურ აღზრდაში, პე-
დაგოგოური პრაქტიკის ჩატარების თვისებრივად ახალი ფორმა და სხვა.

მის საქმიანობაში მონაწილეობას იღებდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგის
კათედრის ყველა წევრი და ინსტიტუტის შესაბამისი პროფესიის კათედ-
რის გამგები, როგორც კონსულტანტები და ხელმძღვანელები.

1991 წელს გაფორმდა ხელშეკრულება აკაკი წერეთლის სახელმწი-
ურ უნივერსიტეტის რექტორატს და საბაზო-ექსპერიმენტული სამუალო
ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-გიმაზიას შორის წუთი წლის ვადით.

ხელშეკრულებით სკოლა-გიმაზიას დირექტია უზრუნველყოფდა სას-
წავლო-აღმზრდელობითი პროცესის სათანადო დონეზე წარმართვას,
უნივერსიტეტის რექტორატთან შეთანხმებით პედაგოგიური კადრების
მიღება-განაწილებას, მოსწავლეთა კლასგარეშე შემოქმედებით მუშაო-
ბას, უნივერსიტეტის პედაგოგიკის კათედრასთან არსებული ექსპერი-
მენტული დიდაქტიკს ლაბორატორიისათვის ნაყოფიერი ტუშაობისა და
სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის ნორმალურად ჩატარებისათვის
სრულყოფილი პირობების შექმნას. სტუდენტთა და მოსწავლეთა ერთობ-
დივი აღმზრდელობითი დონისძიებების ჩატარებას.

უნივერსიტეტის რექტორატი უზრუნველყოფდა მოსწავლეთა კლას-
გარეშე მუშაობისათვის უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიების
გამოყენების შესაძლებლობას. ამ საქმეში შესაბამისი კათედრების მო-
ნაწილეობას, სკოლა-გიმაზიაში მეცნიერ-კონსულტანტების მუშაობას,
მასწავლებლობა მეცნიერული მუშაობისადმი მათს ხელმძღვანელობას,
მოსწავლეებთან აღმზრდელობით მუშაობაში უფროსკურსელ სტუდენ-
ტთა მონაწილეობას. სკოლა-გიმაზიის საბჭოს რეკომენდაციითა და
უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, მათი სურვი-
ლის მიხედვით, სკოლა-გიმაზიის ოქროსა და ვერცხლის მდელით კურ-
სიდამთავრებულთა უგამოცდო ჩარიცხვას, მაპროფილებელ საგნებში
ურიადი შეფასების მქონე კურსდამთავრებულების, მისაღებ გამოცდებზე
მაპროფილებელ საგნში ფრიადი შეფასების მიღების შემთხვევაში, სხვა
გამოცდებისგან გათვალისწიულებას.

უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სპორტის განვი-
თარებას. ჩამოყალიბდა მორაგეთა გუნდი – „აიტი“, ფეხბურთის გუნდი
– „კოლხა“, ვაჟთა და ქალთა ფრენბურთისა და ვაჟთა და ქალთა მშვილ-

დოსანთა გუნდები. შეიქმნა ქალთა სიმღერის გუნდი, ხალხურ საკრავთა ლიკესტრი, ქორეოგრაფიული ანსამბლი, ვაკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, ფუნქციონირება დაიწყო ახალგაზრდა შემოქმედთა წლებში.

პროფესორმა ნანული კაკაურიძემ მაშინდელი ხელისუფლების წინაშე დასვა საკითხი უნივერსიტეტის სამომავლო პერსპექტივების შესახებ, რაც მოიცავდა შემდგეს: სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაცია, სალექციო კურსების შედგენა მეცნიერების ახალ მიღწევათა გათვალისწინებით, ბიბლოოთეკის კომპიუტერიზაცია, ბიბლიოთეკის კირპუსის აშენება, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლისა და შაორის დასასვენებელი სახლის აშენება, სამხედრო შტაბისა და „დინამოს“ სტადიონის შენობების გადამზიცება.

უნივერსიტეტიმა დაიწყო მზადება ახალ სპეციალობებსა (ურნალისტიკის, ხელოვნებათმცოდნეობის, სამართალმცოდნეობის, პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, ფინანსებისა და მართვის, ფინანსებისა და კრედიტების, გამოყენებითი მათემატიკის, რადიოფიზიკისა და ელექტროტექნიკის, ნახევარგამტარებისა და დიელექტრიკების, ჰიდრომეტეოროლოგია-გეოლოგიისა) და ასპირანტურაში მიღების გამოსაცხადებლად და განსახორციელებლად.

1991–2005 წლებში პროფ. ნ. კაკაურიძე ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზღვარგარეთული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეა. 2008–2013 წლებში კი – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საინსტაციო კურსოს თავმჯდომარ.

1995 წლიდან პროფესორი ნანული კაკაურიძე არჩეულია გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების პრეზიდენტად. 1996–2006 წლებში იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის P. 10.05 №4 სადისერტაციო საბჭოს წევრი. 2000–2010 წლებში კოორდინირებას უწევდა ჰაიდელბერგის რეკრუქტ კარლის უნივერსიტეტთან ქუთაისის უნივერსიტეტის პარტნიორულ ურთიერთობებს (DAAD-GIP).

1999 წლიდან მას ირჩევენ გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების (ეკრმანია, ქ. ვაიმარი) პრეზიდიტის უცხოელ წევრად, 2000 წლიდან საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, 2003 წლიდან კი გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საპატიო წევრად.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანული კავკაზიური ურიძე არის 8 მონოგრაფიის, 3 სახელმძღვანელოსა და 85 სამეცნიერო მრომის ავტორი, არის ღირსების ორდენის მფლობელი, ინის ფრიდრიჩ შილერის უნივერსიტეტთან ქუთაისის უნივერსიტეტის პარტნიორული ურთიერთობის კორდინატორი (DAAD-GIP), საერთაშორისო კონფერენციების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, მრავალი საერთაშორისო გრანტის მფლობელი, საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მონაწილე, სამეცნიერო კონტაქტები აქვს ბონის, დოუსელდორფის, კიოლნის, ჰაიდელბერგის, მოსკოვის, ერვნის უნივერსიტეტებთან.

პროფესორი ნანული კაკაურიძე აღიარებული გერმანისტია. მას გამოქვეყნებული აქვს შემდეგი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები: 1. ოთორია და სინამდვილე, თბილისი, 1989; 2. ხელოვნების არსი და ფუნქცია შტურმერთა ლიტერატურულ თეორიაში(დამხმარე სახელმძღვანელო), ქუთაისი, 1990; 3. შტურმერთა და იენის წრის რომანტიკოსთა ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, თბილისი, 1991; 4. ოომას მანი და მუსიკალური რომანტიზმი, ქუთაისი, 2001; 5. იაკობ ლენცის დრამის ოთორია და დრამატურგია, ქუთაისი, 2005; 6. XX საუკუნის დასავლეთევროპული და ამერიკული რომანის პოეტიკის საკითხები, ქუთაისი, 2006; 7. ნარკვევები გერმანულ რომანტიზმზე, ქუთაისი, 2007; 8. გერმანული დრამის თეორია (სახელმძღვანელო მაგისტრატურის გერმანისტიკის სპეციალობის სტუდენტებისათვის), ქუთაისი, 2009; 9. ნარკვევები თომას მანზე, ქუთაისი, 2009; 10. Romantik-und DDR-Literaturforschung in der georgischen Germanistik. Kutaissi, 2010; 11. XX საუკუნის პირველი ნახევრას დასავლეთევროპული ლიტერატურის ისტორია(სახელმძღვანელო), ქუთაისი, 2011; 12. „ქარიშხლისა და შეტევის“ ლიტერატურული თეორიის საკითხები, ქუთაისი, 2013.

დიდია ქალბატონ ნანული კაკაურიძის წვლილი ახალგაზრდა კადრიების სამეცნიერო წინსკლასა და, საერთოდ, უნივერსიტეტის წარმატებაში. სწორედ მისი დიდი ძალისხმევის შედეგად გარდაიქმნა ქუთაისის უძველესი უმაღლესი სასწავლებელი უნივერსიტეტიად და მყარი საფუძველი ჩაეყარა მის შემდგომ მიღწევებს.

მაგალითოლენი



1991 წლის ოქტომბერში პრეზიდენტის რეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნა პროფესორი მაგალითოლენი.

მაგალითოლენი დაიბადა 1927 წლის 19 იანვარს მარტვილის რაიონის სოფელ სალხინოში, საღაც დამთავრა საშუალო სკოლა. 1944 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტზე. მეორე კურსიდან გადავიდა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1949 წელს ირანისტის კვალიფიკაციით.

1950-52 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ლაბორანტი, ხოლო 1952 წლიდან 1980 წლამდე პრედაგოგი.

1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

პროფესორი გიორგი ლავთაძე არის სხვადასხვა აკადემიკა და სამუშაოების წევრი, „საქართველოს რექტორობის“ ასოციაციის “ერთ-ერთი დამფუძნებელი, „უნივერსიტეტის პრეზიდენტის“ ტთა საერთაშორისო ასოციაციის (IAUP) წევრი, საქართველოში კომპიუტერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი. იგი დაჯილდოებულია ბრწყინვალების საპრეზიდენტო ორგანიზაციით (26.05.2012).

უნივერსიტეტი სადღეისოდაც, როგორც არაურთხელ ბოლო პერიოდში, მნიშვნელოვანი გამოწვევებისა და სირთულეების წინაშე დგას. მათ დაძლევაში პროფესორ გიორგი ლავთაძის ბევრი პიროვნული თვისება, პროფესიონალიზმთან ერთად, წარმატების განმაპირობებელი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. სიახლეებისაკენ სწრაფვა, რომელიც ასე დამახასიათებელია რექტორისათვის, ამ ძველ უმაღლეს სასწავლებელს მყარ გარანტის უქმნის, მთელ კოლექტივთან ერთად, უმოკლეს დროში იქცეს სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ ერთ-ერთ მოწინავე უნივერსიტეტად საქართველოში.

ქათაისის ნიაო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტი



ნოდარ ვალიშვილი



ნოდარ ვარლამის ძე ვალიშვილი დაიბადა 1932 წლის 25 ოქტომბერს ქალაქ ქუთაისში. 1951 წელს ოქროს მედალზე დამთავრა მე-9 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის ჩარხდანადგარების ინსტიტუტში, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1956 წელს ინჟინერ - მექანიკოსის კვალიფიკაციით.

1956 წლიდან მუშაობდა ქალაქ ლიუბერცში (მოსკოვის ოლქი) ჯერ კონსტრუქტორად, შემდგა კი სამქროს უფროსის მოადგილედ.

1958 წელს ჩაირიცხა მოსკოვის ჩარხდანადგარების ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომელიც წარმატებით დაასრულა და 1961 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. აქვე განავრძო მუშაობა მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, უფროს მეცნიერ-მუშაკად, ხოლო 1963 წლიდან დოცენტად მასალათა გამმდევნების კათედრაზე.

ნოდარ ვალიშვილი 1964 წელს ჩაირიცხა და 1967 წელს დაასრულა მ. გ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის განყოფილება.

1968 წლიდან ნოდარ ვალიშვილი იყო მოსკოვის ნ.ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელის დოცენტი, სადაც 1971 წელს წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. 1973 წლიდან არჩეულ იქნა ამავე უმაღლესი სასწავლებლის პროფესორად.

პროფესორ ნოდარ ვალიშვილის ფუნდამენტური შრომები მიეკუთვნება იმ დროს, როდესაც ინერგებოდა თანამედროვე გამოთვლითი საშუა-

ლებები, რამაც აუცილებელი გახადა ახლებურად გააზრებულიშო არაწ-
რფივი ანალიზის სტრატეგია და საშუალება. მან არსებითად გააფართოვა
საკვლევი ამოცანების ქლასი.

6. ვალიშვილის მიერ 1963 წელს შემოთვაზებულმა ხერხმა – პარამეტ-
რის მიხედვით ამოხსნის გაგრძელების მეთოდმა პარამეტრის შეცვლის
შესახებ, მცნიერებს საშუალება მისცათ პირველად დასაბუთებულად
ჩატარებულიყო ბრუნვის გარსების არაწრფივი დასურული ქმედებე-
ბის კვლევა. მის შრომებში დამუშავდებულმა აღგორითმებმა დაამტკიცეს
თავისი ფასეულობა, ეფექტურობა და დამოუკიდებლობა გარსის არაწ-
რფივი თეორიების ამოცანათა ფართო წრის გადაწყვეტის საგითხში და
მნიშვნელოვან თეორიულ საფუძველს წარმოადგენს აღგორითმებისა
და პროგრამების გამოსაყენებლად წვრილგვერდოვანი კონსტრუქციების
გაანგარიშებასა და პროექტირების საქმეში. შემდგომშიც ის დიდ პერიო-
გიურ მუშაობას წარმატებით უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით საქმიანო-
ბას, აწარმოებდა მანქანათა ელემენტებისა და კონსტრუქციების კვლევას
ფიზიკური და გეომეტრიული არაწრფივობის გათვალისწინებით.

1973 წელს 6. ვალიშვილი დაინიშნა ჭუთაისის პოლტექნიკური ინსტი-
ტუტის რექტორად, პარალელურად ხელმძღვანელობდა მასალათა გამ-
ძლეობის კათედრას.

მან კარგად ვაართვა თავი სასწავლო ინსტიტუტის ჩამოყალიბების დად
ორგანიზაციულ სისწრეებს, თავი მოუყარა დარგის ჟეცნიერულ ელიტას
და ჩააყენა ისინი მომავალი სპეციალისტების აღზრდის სამსახურში. ჩა-
მოაყალიბა უნივერსიტეტისათვის საჭირო სტრუქტურული ერთეულები
ფაკულტეტებისა და კათედრების სახით. სასწავლო პროცესის ორგანი-
ზებულად წარმართვის მიზნით უზრუნველყო კათედრებისა და ლაბორა-
ტორიების ტექნიკური აღჭირვა.

1978, 1980, 1984, 1988 წლებში ექსპლუატაციაში შევიდა ყოფილი
პოლიტექნიკური ინსტიტუტის მე-3, მე-4, სტუდენტთა საერთო საცხოვ-
რებლისა და სპორტული დარბაზის კორპუსები.

პროფესორ ნოდარ ვალიშვილის რექტორობის პერიოდში ჭუთაისის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი სა-
კავშირო კონფერენცია საიუნიონო-ტექნიკური და საუნინო - ტექნოლო-
გიური კუთხით.

1989 წელს იგი განთავისუფლდა რექტორის თანამდებობიდან და ამავე
წლიდან 2005 წლამდე ასრულებდა ტექნიკური უნივერსიტეტის მასალა-
თა გამძლეობის კათედრის გამგის მოვალეობას.



1998 წელს ნ. გალიშვილმა დაარსა ახალი ტიპის სააუტორო მუზეუმი და მუზეუმებით იყო მისი დარღექტორი, შემდეგში მეცნიერ-ხელმძღვანელი და მუზეუმის მიმღები.

2006 წელს არჩეულ იქნა გამოყენებითი მექანიკის დეპარტამენტის სრული პროფესორის თანამდებობაზე, ხოლო 2010 წლის 1 თებერვლიდან მიენიჭა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსის წოდება.

ინსტიტუტში მუშაობის განმავლობაში მას მიჰყავდა „მასალათა გამდევნებისა“ და „მანქანების სამშენებლო მექანიკის“ სპეციალური კურსები, იყო გამორჩეული პედაგოგი.

მისი „შუალო ხელმძღვანელობით ინსტიტუტში შეიქმნა და დაინერგა სასწავლო პროცესის ავტომატიზებული მართვის სისტემა.“

ის წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ასპირანტებს. მისი ხელმძღვანელობით დაისწრა დაცვა ექსპერტურისა და სამუშაოებისა და მონოგრაფიის ავტორი. მათ შორის აღსანიშნავია:

1. Валишвили Н.Е., Глушков Г.С. Универсальные формулы для расчета ступенчатых балок. Машгиз, Москва, 1964.

2. Формулы для расчета рам со стойками переменного сечения. "Машиностроение", Москва, 1965.

3. Методы расчета оболочек вращения на ЭЦВМ", "Машиностроение", серия "Библиотека для расчетчика", Москва, 1976.

4. რწმენა და ფიქრები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1984.

5. ფიქრები და რწმენა, „GSI“, თბილისი, 1998.

6. ჩვენი სკოლა ქართული, „საქართველო“, ქუთაისი, 2002.

7. ჭრელი ფიქრები, 2002.

8. Размышления о ренессансе образования, философии природы, духовности и разумка, о своеобразии правового поля, общественного мышления и законопонимания в Грузии, Кутаиси, 2005.

9. ნოდარ ვალიშვილი, დემურ გიორგელიძე. მასალების და კონსტრუქციების გამძლეობა, თბილისი, 2008.

2007 და 2012 წლებს უნივერსიტეტში პროფესორ ნოდარ ვალიშვილის დაბადებიდან სამოცდაწუთმეტი და 80 წლის ოუბილეს მიეღვნეა საქართველოს კონფერენცია, „მექანიკის არაქლასიკური ამოცანები“.

პროფ. ნოდარ ვალიშვილი იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეკუტატი, საქართველოს კაც ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანკონადან მდგრადი მომსახური.

დიდატი, საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ბატონი ნოდარი არის პრინციპული, მომთხოვნი საკუთარი და კოლეგებისადმი, არ იფარვლება საღლეისო ინტერესებით, ყველა საკითხს უდგება სახელმწიფო ორგანიზაციის თვალსაზრისით. მისმა ასეთმა პოზიციამ დიდწილად განაპირობა ტექნიკური უნივერსიტეტის წარმატებული ფუნქციონირება და ავტორიტეტი სანგრძლივი დროის განმავლობაში.



არჩილ ანდროს ძე კოსტავა დოდეკადა
და 1937 წლის 12 დეკემბერს ქალაქ
ჭუთაისში. 1955 წელს წარმატებით
დაამთავრა ჭუთაისის მე-2 სამუალო
სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა საქარ-
თველოს ტექნიკურ უნივერსიტეტ-
ში ინჟინერ-მეტალურგის სპეცია-
ლობით. უნივერსიტეტი წარჩინებით
დაამთავრა 1960 წელს და მუშაობა
დაიწყო ჭუთაისის საავტომობილო
ქარხანაში ინჟინრად.

1962-1965 წლებში სწავლობდა
მოსკოვის ცენტრალურ სამეცნიერო-
საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურაში, სადაც 1966 წელს წარმატე-
ბით დაიცვა ჯერ საკანდიდატო, ხოლო 1980 წელს სადოქტორო დისერ-
ტაცია თემაზე: „„ლითონების პლასტიკური დეფორმაციის მექანიკისა და
ჩაწერების პროცესების კვლევა მაღალი პიდროსტატიკური წნევებისას“.

1968-1985 წლებში მუშაობდა მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტი-
ტუტის მანქანამშენებლობის ტექნოლოგის უმცროს მეცნიერ მუშაკად,
უფროს მეცნიერ-მუშაკად, ბოლოს კი ლაბორატორიის უფროსად.

1962-1985 წლებში ლექციებს კითხულობდა და გამოკვლევებს აწარ-
მოებდა მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებსა
და სამეცნიერო ცენტრებში, ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხეთის, პო-
ლონეთის, უკრაინის, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის უნივერსიტე-
ტებსა და საპროექტო საკვლევ ორგანიზაციებში.

1985 წელს არჩილ კოსტავა ბრუნდება საქართველოში. 1985-1989
წლებში გახდათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფე-
სორი და სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ლითონური მასალე-
ბის წნევით დამუშავების უფროსი.

1985 წელს მიიღო სსრკ-ის მინისტრთა საბჭოს პრემია.

1989 წელს საცხოვრებლად და სამუშაოდ დაბრუნდა ჭუთაისში და
დაინიშნა ჭუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორად. უნივერ-
სიტეტს ხელმძღვანელობდა 2002 წლამდე, პარალელურად ასრულებდა
მანქანამშენებლობის ტექნოლოგიის კათლის გამგის მოვალეობას.

1991 წელს გახლდათ ქალაქ ქუთაისის პრეფექტი. 1996 წელს არჩინ ეს ახლად შექმნილი გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიური სამსახურის გადმოეცა ახალგაზრდობის პროსპექტის მე-2 შესახვევში ძღვებარე კორპუსი. ასევე, მისი ინიციატივით ტექნიკური უნივერსიტეტის ეზოში აგებულ იქნა ეკლესია.

1992 წელს მიენიჭა გ. ნიკოლაძის სახელობის პრემია.

არჩილ კოსტავას რექტორობის დროს გაფორმდა ხელშეკრულებები ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, თურქეთის, გერმანიის, ჩეხეთის და იტალიის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან.

1996 წელს მისი ინიციატივით დაიწყო ბეჭდური წესით ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტის შრომების კრებულის გამოცემა.

არჩილ კოსტავას ხელმძღვანელობით დაცულია 37 საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია. არის 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომისა და 80-მდე გამოგონების ავტორი.

უწმინდესისა და უნტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის მხარდაჭერით, არჩილ კოსტავამ 1999 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიასთან პირველად მართლმადიდებლურ სამყაროში ჩამოყალიბა კრეაციული კვლევის ინსტიტუტი.

არჩილ კოსტავამ მეცნიერულ გამოკვლევა აწარმოა სამყაროს შექმნისა და განვითარების პრობლემატიკის სფეროში და შექმნა პრინციპულად ახალი, „მეტაკრეაციონისტული“, თეორია, რომელიც ეპოლუციური თეორიის ფუნდამენტალურ ნაწილს განიხილავს, როგორც კრეაციული თეორიის შემადგენელს. ჩამოაყალიბა განვითარების ახალი პრინციპი: “თანხმობა-თანხმობის” პრინციპი, რომელიც უარყოფა-უარყოფის ქანონთან (ჰეცელი) ერთად აზუსტებს და აფართოებს განვითარების თეორიას. კვლევიდან გამომდინარე ა. კოსტავამ გამოაქვეყნა ნაშრომი სამყაროს შექმნის კრეაციულ თეორიაში: „მეტაკრიაციონიზმის შესავალი“. გარდაცვალებამდე სამი დღით ადრე კი გამოვიდა მისი მეორე წიგნი – „სისტემების განვითარების ძირითადი კანონები და პრობლემატიკა“.

1998 წლის 4 იანვარს სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მუშაობისათვის ა. კოსტავა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დაჯილდოვდა ორდენით.



1999 წლიდან იყო აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის მემკვიდრეობის რეგიონის თავმჯდომარე.

მისი ინიციატივით 2000 წელს შეიქმნა უნივერსიტეტის პიმნი, რომლის ტექსტი დაწერა უნივერსიტეტის თანამშრომელმა ნათელა ფოჩჩუამ, ხოლო მუსიკა – გორგაძემ.

მან უდიდესი კვალი დატოვა ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის ისტორიაში, როგორც საუკთხესო რექტორმა, მეცნიერმა, პედაგოგმა და პიროვნებამ. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაფართოვდა უნივერსიტეტის სასწავლო სამეცნიერო ბაზა, გაიხსნა ახალი სპეციალობები და შესაბამისი პროფესიის კათედრები, ასპირანტურა, სამაგისტრო სწავლების ფაკულტეტი, კიბერნეტიკის სასწავლო–სამეცნიერო ინსტიტუტი, კრიმინალისტიკური ტექნიკისა და ტექნიკური ექსპერტიზის კათედრა და სპეციალობა, შეიქმნა საჯისერტაციო დაცვის საბჭო.

გამოცდილმა ხელმძღვანელმა შეძლო საქართველოსათვის საკმაოდ როგორ პერიოდში ტექნიკური უნივერსიტეტი განვითარების გზით წაეყვანა და დაემკვიდრებინა სამეცნიერო თუ პედაგოგიური საქმიანობისათვის ხელსაყრელი ატმოსფერო.

პროფესორი არჩილ კოსტავა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 2002 წლის 11 თებერვალს.



ამირან ხვადაგიანი დაბადებულ
1954 წლის 26 მარტს ცა-
გერში. 1970 წელს დაამთავ-
რა სოფელ ალანის საშუალო
სკოლა. 1970 წელს ჩაირიცხა
ქუთაისის სამთო ტექნიკურში.
1972-1974 წლებში მსახუ-
რობდა სამხედრო სავალდებუ-
ლო სამსახურში. 1974-1975
წლებში მექანიკდა ტექნიკურ
ნაკუთობათა ქარხანაში მუშად.

1976-1981 წლებში სწავ-
ლობდა და წარჩინებით დამ-
თავრა საქართველოს პოლი-

ტექნიკური ინსტიტუტი ლითონმცოდნეობისა და ლითონთა თეორიული
დამუშავების სპეციალობით და იმავე წელს მუშაობა დაიწყო ქუთაისის
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. 1981-1984 წლებში სწავლობდა საქარ-
თველოს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის ასპირან-
ტურაში. 1985 წელს დაიცავა საკანდიდატო, ხოლო 1997 წელს სადოქ-
ტორო დისერტაციები. 1987-1990 წლებში იყო ასისტენტი, უფროსი
მასწავლებელი. 1990 წელს აირჩიეს ინსტუტის ღოცენტად, 1998
წლიდან კი უნივერსიტეტის პროფესორად. 1990-1997 წლებში იყო
უნივერსიტეტის საინჟინრო-მექანიკის ფაკულტეტის დეკანი, 1998-2002
წლებში პროფესორი ეკონომიკური განვითარების დარგში.

პროფესორი ა. ხვადაგიანი 2002 წლის 18 აპრილს, უნივერსიტეტის
გაფართოებულმა საბჭომ აირჩია ქუთაისის ნიკო მუსექელიშვილის სახე-
ლობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორად, სადაც მუ-
შაობდა 2006 წლის აპრილამდე. 2006 წლის 10 მაისიდან 2 ნოემბრამდე
ქუთაისის სახელმწიფო და ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების
გამო იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსატეტის რექტორის
მოადგილე. 2006 წლის 16 ივნისიდან დღემდე არის ასვე უნივერსიტე-
ტის სრული პროფესორი. გამოქვეყნებული აქვს 64 სამეცნიერო შრომა,
მათ შორის: 17 გამოგონება და 3 სახელმძღვანელოა.

2004-2006 წლებში იყო ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრი, 2006 წლის 2 ნოემბრიდან 2013 წლის 1 მარტამდე კი ქალაქ ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე. ამჟამად ქუთაისის ბოტანიკური ბაზის დირექტორი და უნივერსიტეტის სრული პროფესორია.

საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 11 მაისის № 232 ბრძანებულებით ტექნიკური უნივერსიტეტი ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის ოურიდიულ პირად.

ამირან ხვადაგიანმა, როგორც რექტორმა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში მართვის მოწინავე სისტემა დანერგილიყო. 2004 წლის ბოლოს უნივერსიტეტმა წარმატებით გაიარა აკრედიტაცია. განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია. გაუმჯობესდა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

2005 წელს, როდესაც ტექნიკურმა უნივერსიტეტმა პირველი ეროვნული გამოცდების საფუძველზე მიიღო სტუდენტთა კონტიგენტი, პროფესიონალურ ამირან ხვადაგიანის ინიციატივით ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრი, რომელმაც დადგებითი როლი შეასრულა, როგორც სწავლების ხარისხის ამაღლებაზე, ასევე სტუდენტთა აქტივობაზე. სტუდენტებსა და პედაგოგებს შეექმნათ კარგი პირობები სწავლისა და მეცნიერული კვლევისათვის.

პროფესორ ამირან ხვადაგიანის ხელმძღვანელობით ტექნიკურმა უნივერსიტეტმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

სოხუმის საბჭოთა იურიდიკული სასწავლო უნივერსიტეტი



გიორგი გოლეოთიანი



1952 წლის 26 იანვარს ი. ბ. სტალინის ინიციატივით მიღებული იქნა საკავშირო მინისტრთა საბჭოს №481 დადგნილება იმ დროისათვის უკვე მკვეთრად გაზრდილი სუბტროპიკული მეურნეობის მაღალკალიფიციური კადრებით უზრუნველსაყოფად ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ჩამოყალიბების შესახებ, რომელსაც სტაციონალურ განყოფილებაზე ყოველწლიურად მიღების 400 კაციანი კონტიგენტი დაუწესეს.

მთავრობის სპეციალური დადგენილებით ინსტიტუტის პირველ დი-

რექტორად დაინიშნა სუბტროპიკული მეურნეობის სფეროში მოღვაწე ცნობილი მეცნიერი – სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოკ. გიორგი გოლეოთიანი, რომელიც მანამდე მუშაობდა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

გ. გოლეოთიანს დიდი დამსახურება მიუძღვის ქუთაისში დამოუკიდებელი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შექმნაში. მან კარგად გაართვა თავი სასწავლო ინსტიტუტის ჩამოყალიბების დიდ ორგანიზაციულ სისტემებს, თავი მოუყარა დარგის თვალსაჩინო მეცნიერებს და ჩააყენა ისინი მომავალი სპეციალისტების აღზრდის სამსახურში.

გიორგი ივანეს ძე გოლეოთიანი დაიბადა 1903 წელს ცაგერში. 1922 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიულ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებო დაამთავრა. 1927–1939 წლებში მუშაობდა ოზურგეთში ანასეულის ჩაისა და სხვა კულტურების სამეც-

ნიერო—კვლევით ონსტიტუტში. ამავე წლებში დაიცვა დისერტაცია მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის აკადემიაში. 1941–1945 წლებში მსახურობლა წითელ არმიაში და იბრძოდა ფრონტის წინა ხაზზე. მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო, მედალი და ორდენი.

საკავშირო სამინისტროს 1952 წლის 15 მარტის №445 ბრძანებით, საქართველოს სასოფლო სამეურნეო ონსტიტუტს გამოეყო და ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ონსტიტუტს გადაეცა შემდეგი ფაქულტეტები: 1. სუბტროპიკული მუზრულების; 2. სუბტროპიკული მუზრნების მექანიზაციის; 3. ხილის, ბოსტნეულის და სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის; 4. მეაბრეშუმეობისა.

გორგი გოლეთიანის ხელმძღვანელობით ონსტიტუტში ჩამოყალიბდა კათედრები: ბოტანიკის, უმაღლესი მათემატიკის, ფიზიკის, რუსული და უცხო ენების, სკპ ისტორიის, არაორგანული და ორგანული ქიმიის, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის, ლითონთა ტექნოლოგიის, მხატველობითი გეომეტრიის, სასოფლო სამეურნეო მანქანების, მცენარეთა დაცვის, მეაბრეშუმეობის, ეკოლოგიისა და მცენარეთა გეოგრაფიის, აგროქიმიისა და ზოგადი მიწათმოქმედების, ნიაღაგმულდნეობის და გეოლოგიის, ავტომობილებისა და ტრაქტორების, პროდუქტა ტექნოლოგიის, მეცნახეობის, სუბტროპიკულ მცენარეთა სელექციის, ჩაისა და ტექნიკური კულტურების, პოლიტეკნიკისა და ფილოსოფიის, დეპორაციული მებაღეობის, ფიზკულტურისა და სპორტის.

1952 წლიდან სტუდენტები პრაქტიკას გადიოდნენ ეშერის სასწავლო მუზრნეობაში. ეუფლებოლნენ სუბტროპიკული კულტურების წარმოების ახალ ტექნოლოგიებს, ხოლო სპეციალური კათედრები ეწეოდნენ ექსპერიმენტულ მუშაობას.

ონსტიტუტს პირველი გამოშვება პქნდა 1957 წელს. ამავე წლის ოქტომბერში დოც. გ.გოლიუთიანი, ზემდგომი ორგანოების დადგენილებით, გაითავისუფლდა ქუთაისის სასოფლო – სამეურნეო ონსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან.

ორგანიზაციულ საქმიანობასთან ერთად გიორგი გოლეთიანი აქტიურ სასეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა. შექმნა და სათანადოდ აღჭრვალაბრატორია, პარალელურად ხელმძღვანელობდა აგროქიმიისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრას, რომლის გამგეც ჩამოყალიბების დღიდან თვითონ იყო. 1958 წელს მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის აკადემიაში მან წარმატებით დაიცვა საღოქტორო დისერტაცია და მცენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება.

ინსტიტუტის სოხუმში გადატანის შემდეგ იგი აგროქიმიისა და ზოგადი მიწათმოქმედების კათედრის გამგე იყო. მისი ხელმძღვანელობით რამდენიმე ასპირანტმა და დოქტორანტმა დაიცვა დისერტაციებით და დამდენიშვილი გიორგი გოლეთიანმა ინსტიტუტში პირველმა დაიწყო სახელმექანულებო თემების დამუშავება. კათედრასთან მოაწყო სამი დიდი ლაბორატორია.

მის კალამს ეკუთვნის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც მირითადად მიეძღვნა ჩაის პლანტაციების განაყოფიერების საკითხებს. მათ შორის არის ორი ფუნდამენტალური შრომა: „ჩაის პლანტაციის განყიერება“ და „მინერალური სასუქების გავლენა ნიადაგის თვისებებსა და ჩაის პლანტაციის მოსავლიანობაზე“. მიღებული პქონდა აფხაზეთის დამსახურებული პედაგოგისა და აგრონომის წოდება.

გიორგი გოლეთიანი გარდაიცვალა 1975 წელს. დასაფლავებულია ქალაქ სოხუმში.

0316 გიორგი გორგაძე



1957 წლის ოქტომბერში ქუთაისის სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლდა ღოც. გიორგი გორგაძის და მის ადგილზე დაინიშნა ღოც. ივანე გიორგებერიძე.

ივანე აღევსის ძე გიორგებერიძე დაიბადა 1906 წლის 15 ივნისს ხონში. 1934 წელს მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო სამეურნეო აკადემიის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო აჯამეთ—ქუთაისის ჯიშმული და გარეთიანებული პუნქტის გამგედ, შემდეგში კი ამავე პუნქტის ბაზაზე შექმნილი მეხილე—მებოსტნეობის სადგურის გამგედ. 1950 წელს მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო სამეურნეო აკადემიაში დაცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. მან დიდი მუშაობა გასწია საცდელ სადგურში ბოსტნეული და ხეხილოვანი კულტურების ახალი და გაუმჯობესებული ჯიშების გამოსაყვანად და წარმოებაში დასახელებად.

ივანე გიორგებერიძე პარალელურად ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასც. 1947—1957 წლებში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტის ბიოლოგის ფაკულტეტზე მიჰყავდა „სოფლის მეურნეობის საფუძვლების“ კურსი, ხოლო 1953—56 წლებში ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის თურანიკის კათედრას.

საქართველოს მთავრობის 1959 წლის 11 აპრილის №282 დადგენილებით, ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტი, სუბტროპიკული კულტურების გავრცელების მირითად ზონასთან მიახლოვების მიზნით, კადატანილ იქნა ქალაქ სოხუმში და მას ეწეოდა „საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი“.

ინსტიტუტს ავხაზეთში დამკვიდრების დროისათვის გააჩნდა სამი ფაკულტეტი და ერთი განყოფილება: 1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტი (აგრონომია) დეკორაციული მებაღეობის განყოფილებით; 2. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის ფაკულტეტი; 3. სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ტექნოლოგიის ფაკულტეტი.

ივანე გიორგბერიძის ხელმძღვანელობით სოხუმში აშენდა ხუთსართულიანი კორპუსი, რომელშიც მომავალში გამიზნული იყო სტუდენტების საერთო საცხოვრებლის მოწყობა. მანამდე კი იქ განთავსდა ჩატანვლო აუდიტორიები და რამდენიმე კათედრა.

იმისათვის, რომ შექმნილიყო ინსტიტუტის მყარი სასწავლო-სამეცნიერო ბაზა, სასწავლო აუდიტორიები და სასწავლო ლაბორატორიები ინსტიტუტის ხელმძღვანელობა მთავრობის წინაშე აყენებდა საკითხების ინსტიტუტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების შესახებ. საქართველოს მინისტრთა საბჭომ 1960 წლის დეკემბერში დაამტკიცა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მშენებლობის გენერალური გეგმა. ამ დროიდან იწყება ინსტიტუტის კორპუსების მშენებლობა. მთავრობამ გამოჰყო 47 მილიონი მანეთი. ამ კომპლექსიმა შედიოდა მთავარი სასწავლო კორპუსი, საერთო საცხოვრებელი 800 სტუდენტისათვის, საცხოვრებელი სახლები პროფესიურ-მასწავლებელთა და თანამშრომელთათვის 120 ბინის ოდენობით, სპორტული ბაზები და სხვ.

ახალი კომპლექსის მშენებლობის პარალელურად ინსტიტუტის ხელმძღვანელობა სისტემატურად ზრუნავდა სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართაზე, სასწავლო მეურნეობისა და ექსპერიმენტალური ბაზებით აღჭურვასა და თანამშრომელთა და სტუდენტთა საცხოვრებელი პირობების მოგვარებაზე.

1961 წელს ი.გიორგბერიძეს, როგორც მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორს, პრაქტიკოს მეცნიერსა და უმაღლესი სკოლის ღვაწლის ხილ მუშაქს, მიენიჭა პროფესიონის სამეცნიერო და აფხაზეთის ავტორის მიური რესპუბლიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება. ავტორისტი მას საშუალებას აძლევდა, ებრძოლა მთელ საბჭოთა კავშირში ინსტიტუტის აღიარების მოპოვებისათვის. 1966 წელს მიენიჭა საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

პროფესიონალური ივანე გიორგბერძეს, როგორც რექტორს, ახასიათებდა სიახლეების სწრაფად მიღების უნარი. მან საქართველოს ბევრი უმაღლესი სასწავლებლებისაგან განსხვავდით აღრე ჩაუყარა საფუძველი სასწავლო პროცესში გამომთვლელი მანქანების გამოყენებას, აგრეთვე, მისაღები გამოცდების მანქანური წესით ჩატარების ორგანიზაციას.

იგი 17 წლის განმავლობაში წარმატებით ხელმძღვანელობდა ინსტიტუტს და სუბტროპიკული სოფლის მეურნეობისათვის მაღალკალიფიცირებული კადრების მომზადების საქმეს. ამასთან, ეწეოდა აქტიურ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას, ხელმძღვალეობდა მემცნარე-

ობს კათედრას, მიპყვდა სუბტროპიკული მებოსტნეობის კურსი, ინტენსურად მუშაობდა ასპირანტებთან, როგორც მეცნიერ-ხელმძღვანელი 1973 წელს რექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების შეზღვებ სამუშაოდ გადავიდა ობილისში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, სადაც მუშაობდა გარდაცვალებამდე.

ივანე გიორგერიძემ დაამუშავა დასავლეთ საქართველოს პირობებში საკონსერვო ბოსტნეულის აგროტექნიკური საკითხები, შეისწავლა მწვანე ბარეის ჯიშების აგროტექნიკა და დანერგა ისინი საქართველოში, როგორც შუალედური კულტურები. მისი ავტორობით და თანავტორობით გამოყვანილი და სელექციურად გაუმჯობესებულია საკონსერვო ხილ-ბოსტნეულის 23 ჯიში. მიღებული აქვს სახელმწიფო ჯილდოები (კლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი ღროშის ორდენები).

ივანე გიორგერიძე გარდაიცვალა 1994 წლის 24 ოქტომბერს ქალაქ თბილისში.

რევაზ ჩხაიძე



1973 წლის ივნისში, ზემდგომი ობიექტის დაღვენილებით, ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა ღოც. რევაზ ჩხაიძე. ის დაიბადა 1921 წლის 11 აგვისტოს ქალაქ ბათუმში. 1939 წელს დაამოავრა ბათუმის №1 სამუშაოო სკოლა და იმავე წელს გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში, სადაც მოუსწრო ომბა. 5 წლის განმავლობაში იბრძოდა მეორე მსოფლიო ომის სხვადასხვა ფრონტზე ბომბდამშენი ავიაციის შემადგენლობაში. შესრულებული აქვს 314 საბრძოლო გაფრენა, აქვდან 299 ღამით. დავილდობებულია წითელი ღროშის სამამულო ომის I ხარისხის, წითელი ვარსკვლავის ორდენებითა და რამდენიმე მედლით, მათ შორის მედლებით: „სტალინგრადის დაცვისათვის“ და „კენიგსბერგის აღებისათვის“. მიღებული აქვს უმაღლესი მთავარსარდლის მადლობები. 1945 წლის 31 ივლისს მარშალ არეჩილ გელოვანის მიერ წარდგენილი იყო საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მოსაპოვებლად.

რევაზ ჩხაიძემ იმიდან დაბრუნების შემდეგ, 1951 წელს, დაამთავრა სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტის ტექნილოგიის ფაკულტეტი, შემდეგ ასპირანტურა. 1954 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მოიპოვა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურის გამგედ, ასისტენტად.

1955–1960 წლებში იყო ქუთაისის სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი, ხოლო 1960–1963 წლებში საქართველოს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტისა, საიდანაც მუშაობა გაავრცელა საქართველოს კვების მრეწველობის კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ და დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში.

რევაზ ჩხაიძე 1969 წელს გადმოჰყავთ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის პროცესტორად სასწავლო დარგში. 1972.



წელს მას მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1973–1975 წლებში იყო ინსტიტუტის რექტორი.

სასწავლო დარგის პროფესიონალ მუშაობის წლებში რ. ჩხაძემ ივერი რამ გააკეთა სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის. მან მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის სასწავლო გეგმების დახვეწის საქმეში.

როგორც ინსტიტუტის რექტორმა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია საზღვარგარეთის ქვეყნეთან გახშირებული კავშირების რეგულირებას, უცხოეთიდან ჩამოსული სტუდენტებისათვის საჭირო პირობების შექმნას, გააძლიერა შესაბამისი კათედრების ტექნიკურ აღჭურვილება, შექმნა სპეციალური გამოთვლითი ცენტრი. 1975 წელს რ. ჩხაძე გადაჰყავთ საქართველოს კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილედ, ხოლო 1983 წლიდან ის კვების მრეწველობის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე და განყოფილების გამე იყო.

1993–1997 წლებში რევაზ ჩხაძე მუშაობდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიაში სწავლულ მდივნად, ხოლო შემდეგ კომერციულ ინსტიტუტში პროფესორის თანამდებობაზე. 1997 წელს არჩეული იქნა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც სიცოცხლის ბოლომდე მსახურობდა.

რევაზ ჩხაძეს გამოქვეყნებული აქვს 72 სამეცნიერო ნაშრომი, მონოგრაფია, მიღებული აქვს გამოგონების 13 საავტორო მოწმობა. 1985 წელს გამოაქვეყნა წიგნი „უკანასკნელი საბრძოლო გაფრენა“, რომელშიც მხატვრულად აღწერა ფრონტული ცხოვრება.

წლების განმავლობაში რევაზ ჩხაძე იყო აუხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კვების მრეწველობის მუშაკთა პროფესიურების რესპუბლიკური კომიტეტის წევრი, ომის ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

რევაზ ჩხაძე გარდაიცვალა 2009 წლის 26 ობერვალს. დაკრძალულია თბილისში.



1975 წელს საქართველოს მუზეუმის
პიკული მუზეუმების ინსტიტუტის
რექტორად ინიშნება დოც. ნაპოლეონ
ქარქაშაძე. იგი მანამდე მუშაობდა სა-
ქართველოს სასოფლო—სამეურნეო
ინსტიტუტის ეკონომიკის კათედრის
გამგედ.

ნაპოლეონ ქარქაშაძე დაიბადა 1935
წელს თბილისში, მედალზე დაამთავ-
რა ქალაქის ვაჟთა პირველ საშუალო
სკოლა. 1959 წელს წარჩინებით და-
ასრულა საქართველოს სასოფლო
სამეურნეო ინსტიტუტის აგრო-ეკო-
ნომიკური ფაკულტეტი. 1961-1964
წლებში სწავლობდა მოსკოვის გეო-
ნომიკურ-მათემატიკური ინსტიტუტის

ასპირანტურაში, დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1964-1967 წლებში მუშაობდა სოფლის მუზეუმების სამეცნიერო-
კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, 1967-1975 წლებში იყო სა-
სოფლო—სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი, ხოლო 1972 წლიდან სოფ-
ლის მუზეუმების ეკონომიკის კათედრის გამგე. 1975 წელს, როგორც
აღნიშნეთ, დაინიშნა საქართველოს სუბტროპიკული მუზეუმების ინ-
სტიტუტის რექტორად.

მისი რექტორობის პერიოდში დამყარდა პარტნიორული ურთიერთო-
ბები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებთან.
ინსტიტუტში აღდგა ასპირანტურა, ჩამოყალიბდა დისერტაციების დაც-
ვის ორი საბჭო. ინსტიტუტის ასპირანტურაში სასწავლებლად მოღოდ-
ნები: ვიეტნამელი, კუბელი, ეგვიპტელი, ჩეხი, ლაოსელი, ვიეტნამელი, პო-
ლონელი ასალგაზრდები. სისტემატური ხასიათი მიიღო საკავშირო და
საერთაშორისო დონის სამეცნიერო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების
ჩატარებამ.

ნაპოლეონ ქარქაშაძემ 1981 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია
და მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1982 წლიდან

პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1984 წელს ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა (ფ. მამუკორია, შ. სურგულაძე, ნ. ქარქაშაძე) მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია ლიმონის ახალი ყინვა და მაღსევროგამძლე ჯიშის „დიოსკურიას“ გამოყვანისა და წარმოებაში დანერგვისათვის.

ქარქაშაძის რექტორობის პერიოდში კაპიტალური რეკონსტრუქცია გაუკეთდა სასწავლო კორპუსებს, დამთავრდა უნიკალური სპორტული დარბაზის მშენებლობა, სტუდენტებისათვის აშენდა სასტუმროს ტიპის სამი საერთო საცხოვრებელი, ზღვის სანაპიროზე ოთხსართულიანი დასასვენებელი კომპლექსი, მოწყო სტადიონი, კალათბურთის მოედანი. შეიქმნა ფეხბურთელთა და კალათბურთელთა გუნდები. აშენდა ექსპერიმენტალური ჩას ფაბრიკა, სადაც ხდებოდა ჩას ფოთლის პირველადი გადამუშავება და დაფასოება. აქვე არსებობდა სადეგუსტაციო დარბაზი, ლაბორატორიული მოწყობილობები, საკონფერენციო დარბაზი.

1975–1990 წლებში ინსტიტუტმა 4-ჯერ მიიღო საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

1990 წელს ნ. ქარქაშაძე გადაიყვანეს თბილისში საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორად. ის გახდავთ საქართველოსა და რუსეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

ნ. ქარქაშაძე იყო აღდგენის ინიციატორი 1961 წელს ნ. ხრუშჩოვის მიერ გაუქმებული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიისა, რომლის აკადემიკოსი და პრეზიდენტის წევრია დღემდე.

1991 წელს ნ. ქარქაშაძის ინიციატივით დაარსდა საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების რექტორთა საბჭო, რომლის პირველი პრეზიდენტიც თავად იყო.

მისი უშაულო ინიციატივით, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, უნივერსიტეტში გაიხსნა „კომპიუტერული ცენტრი“ და „ლინიის სახლი“, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კვალიფიციური საწარმოო და სამეცნიერო კადრების მომზადებაში.

1995 წელს საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი გახდა უმაღლესი განათლების მსოფლიო ასოციაციის წევრი, რომლის ვიცე-პრეზიდენტადაც აირჩიეს 2004 წელს.

2004 წელს აკად. ნ. ქარქაშაძე აირჩიეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად, ამჟამად იგი ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა.

სახვადასხვა დროს ნ. ქარქაშაძე იყო საერთაშორისო სამეცნიერო გა-
ერთიანება „იკარდის“ თანათვეჯდომარე. 1995–2004 წლებში იყო „იუ-
ნესკოს“ გენერალური ასამბლეის წევრი, არის სან-ფრანცისკოს, ზოუ-
ორქის და სხვა სამეცნიერო საზოგადოებების აკადემიკოსი, მსოფლიოს
რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის საპატიო დოქტორი და პროფესო-
რი, სამეცნიერო კონფერენციებში მიღებული აქვს ოქროსა და ვერცხლის
მედლები და სხვ.

აკადემიკოსი ნაპოლეონ ქარქაშაძე 200–ზე მეტი სამეცნიერო შრომის
ავტორია, რომელთა შორის არის სახელმძღვანელოები და მონოგრაფი-
ები. მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა „მსოფლიო სოფლის
მეურნეობა“, რომელსაც 600–გვერდიანი ფუნდამენტური შრომა მიუძღ-
ვნა.

არის ცნობილი პუბლიცისტი და მწერალი. მის კალამს ეკუთვნის პო-
ლიტიკური რომანები: „სტალინი“, „ბრუშჩივა“, „ბრეჟევი“. რომანი
„სტალინი“ ითარგმნა რამდენიმე ენაზე. ამ თხზულებისათვის მას მიენი-
ჭა საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ ოქროს მედალი.

აკადემიკოს ნაპოლეონ ქარქაშაძის წვლილი სრულიად გამორჩეულია
ინსტიტუტის მაღალი რანგის სასწავლო–სამეცნიერო დაწესებულებად
ჩამოყალიბებაში. ის დღესაც აქტიურად მონაწილეობს აგრარული განათ-
ლებისა და მეცნიერების განვითარების საქმეში.

3160-იგი ფრთხი



1990 წელს ინსტიტუტის პედაგოგიკური სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა დოცენტი ვახტანგ ფრუიძე. ის რექტორად არჩევამდე, 1980 წლიდან, მსახურობდა ინსტიტუტის პრორექტორად სასწავლო მუშაობის დარგში.

ვახტანგ ფრუიძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1934 წლის 6 ივლისს. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ქუთაისის სასოფლო—სამეურნეო ინსტიტუტში ტექნიკოლოგის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1959 წელს და აქვე დაიწყო


მუშაობა. სხვადასხვა წლებში იყო თბილენიკისა და მანქანათმცოდნეობის კათედრის ლაბორატორი, ასისტენტი, მასტავლებლი, დოცენტი, ტექნიკოლოგის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, კათედრის გამგე.

1963 წელს საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1990 წელს მოსკოვის კვების მრეწველობის ტექნიკოლოგიურ ინსტიტუტში საღოქტორო დისერტაცია.

მისი რექტორობის პერიოდში აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენების გამო ინსტიტუტის ქუთაისში მოუხდა ფუნქციონირების გაგრძელება. ამ უღრღესად მტკიცნეული პროცესის შშვიდ და აკადემიურ კითარებაში გასაყვანად და სასწავლო და სამუშაო პირობების შესაქმნელად ვ. ფრუიძის თრგანიზატორულ ნიჭისა და პიროვნულ თვისებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა. მის სასახლოდ უნდა ითქვას, მისი ხელმძღვანელობით ინსტიტუტმა შეძლო ტრადიციების შენარჩუნება და განვითარება.

ვახტანგ ფრუიძე იყო საქართველოს საიუნივერსიტეტის აკადემიის წევრ—კორესპონდენტი, საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. იგი იყო 100—ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 9 გამოგონების ავტორი.

პროფესორი ვახტანგ ფრუიძე გარდაიცვალა 1997 წელს.



1997 წელს, პროფესორ ვახტანგ ჭურუმიშვილის იმის გარდაცვალების შემდეგ, რექტორის მოვალეობის შესრულება დავალა პროფესორს სასწავლო დარგში დოცენტ გურამ კილასონიას. იგი შეძლომ თრი ვადით იქნა არჩეული ინსტიტუტის რექტორის თანამდებობაზე.

გურამ კილასონია დაიბადა სენაკის რაიონში 1936 წლის 22 სექტემბერს. საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე გაიწვიეს სამხედრო საკალებებულო სამსახურში. 1956 წელს ჩაირიცხა საქართველოს სეუტროპიკული მუურნეობის ინსტიტუტის სეუტროპიკული მუურნეობის ინსტიტუტის სეუტროპიკული მუურნეობის ფაკულტეტზე.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1961–64 წლებში, მუშაობდა ამავე ინსტიტუტის ეშერის სასწავლო საცდელ მუურნეობაში განყოფილების გამგედ. შემდეგ იყო საქართველოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის შედაქის საცდელ საგდურში მეცნიერ-მუშაკი, აგროტექნიკის განყოფილების გამგე და შემდგომ დირექტორის მოადგილე. 1965–1968 წლებში სწავლობდა ასპირანტურაში, რომლის დასრულებისთანავე მუშაობას იწყებს საქართველოს სუბტროპიკული მუურნეობის ინსტიტუტში ჯერ ლაბორანტად, შემდეგ უფროს ლაბორანტად, მეცნიერ მუშაკად, პასტავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, დეკანის მოადგილედ.

1971 წელს გურამ კილასონიამ დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მუურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი.

გურამ კილასონია 1992–1993 წლებში იყო სასწავლო–საცდელ მეურნეობა „ეშერის“ დირექტორი და სუბტროპიკული ტექნიკური კულტურების კათედრის დოცენტი.

სუბტროპიკული მუურნეობის ინსტიტუტის ქუთაისში გადმოსკვლის შემდეგ, 1994–1997 წლებში, იყო ამავე ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში.

მისი ინიციატივით ინსტიტუტში პირველად შეიქმნა მზრუნველობას საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, რაიონის გამგებლები, აკაკი წერეთლის სახელმწიფო

ფი და ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორები, მსხვილ საწარმოთა და აფხაზეთის სამთავრობო სტრუქტურების ხელმძღვანელები, და მცხტის ტეტის კურსდამთავრებულები.

ქუთაისის ავტოქარხანამ ინსტიტუტს აჩუქა „გაზის“ მარკის ავტომობილი, ქუთაისის სატრაქტორო ქარხანამ მცირვებაბარიტანი ტრაქტორი, რეზინების ქარხანამ ქიმიური ლაბორატორია, ბიბლიოთეკა; აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კომპიუტერები. ქალაქის მერის ინიციატივით, გარემონტდა და შეიღება ინსტიტუტის მირითადი კორპუსის ფასადი. ბადრი პატარკაციმვილმა ინსტიტუტს გაუწია ფინანსური დახმარება 10 000 ამერიკული ლონგარის ოდენობით. ბატონ ვ. ყოლბაას ინიციატივით, ნორვეგიალებმა უფასოდ გარემონტეს კორპუსის III სართული და აჩუქეს 100 ახალი მერის, ხელახლა გადაიხურა სასწავლო კორპუსი.

2000 წელს ინსტიტუტში შექმნა მაგისტრატურა და განხილულდა პირველი მიღება. მისი უშუალო ძალის სხევით გაიხსნა ახალი ასპეციალობები, დაარსდა ტურიზმისა და საკურორტო სერვისის ფაკულტეტი, სამეცნიეროს რეგიონში, სენაკში, გაიხსნა ჟ. შარტავას სახელობის ფილიალი, ნოსირში (სენაკი) და მესხეთში (წყალტუბო) მოეწყო სასწავლო-საცდელი მეურნეობები, ინსტიტუტის ბიბლიოთეკას შემატა 1000 ერთეული წიგნი. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო, ასევე, დიდი ჯისამიშის სასოფლო-სამეცნიერო ტექნიკუმიდან.

საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭოს მიერ ჩატარებული რეორგანიზაციის შემდეგ კვლავ განაახლა ფუნქციონირება სადისერტაციო საბჭომ, რომელსაც 2004 წლიდან გურამ კილასონია ხელმძღვანელობდა. 2001 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

2003 წელს ინსტიტუტს საქართველოს პრეზიდენტის №107 ბრძანებით მიენიჭა უნივერსიტეტის სტატუსი.

გურამ კილასონია არჩეულ იქნა საერთაშორისო აკადემიის აგრძარული რეგიონიზაციის აკადემიკოსად, ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, კავკასიის ხალხთა მეცნიერების აკადემიის წევრად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრი— კორესპონდენტად. მას გამოქვეჩნებული აქვს 80-ზე მეტი შრომა, მათ შორის: 2 მონოგრაფია, 4 გამოგრძელება, რომელიც დაინერგა წარმოებაში.

გურამ კილასონია ამჟამად არის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი და კვლავაც ერთგულად მშახურება უმაღლეს სკოლას.



განათლების სისტემაში მიმღია-
რე რეფორმაზ მოითხოვა ახლადური
მიდგომა სასწავლო—სააღმზრდელო
პროცესისადმი. 2005 წლის 14 თე-
ბერვალს საქართველოს პრეზიდენტის
№75 განკარგულებით უნივერსიტე-
ტის რექტორის მოვალეობის შემსრუ-
ლებლად დაინიშნა პროფესორი ნუგ-
ზარ ებანოიძე.

ნუგზარ ებანოიძე დაბადა 1944
წლის 11 იანვარს დაბა ხონში. სკოლის
დამთავრების შემდევ ჩაირიცხა საქარ-
თველოს სუბტროპიკული მუჟრნეობის
ინსტიტუტში, 1965 წელს დაასრულა

ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი, რამდენიმე წელი მუშაობდა:
ხობის „საქსოფლტექნიკაში“ ინჟინრად, შემდგომ კი სოხუმის ინდუს-
ტრიულ ტექნიკუმში მასწავლებლად.

1969–71 წლებში სწავლობდა საქართველოს სუბტროპიკული მუჟრ-
ნეობის ინსტიტუტის ასპირანტურაში, რომლის დამთავრების შემდევ
მსახურობდა ქალაქ თბილისის სამთო მიწათმოქმედებისა და სუბტროპი-
კული კულტურების საკავშირო სამუცნიერო—კვლევითი და საკონსტრუქ-
ტორო—ტექნიკოლოგიურ ინსტიტუტში. 1974 წელს დაიკვა საკანდიდატო
დისერტაცია და დაბრუნდა ინსტიტუტში ტრაქტორებისა და ავტომობი-
ლების კათედრაზე ჯერ უფროს მასწავლებლად, ხოლო შემდგომ დო-
კუნტად. სხვადასხვა დროს იყო მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანის
მოადგილე, აგრობიზნესის ინჟინერთა ფაკულტეტის დეკანი. 2001 წელს
დაიკვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა პროფესორის წოდება.

უნივერსიტეტში, მისი ხელმძღვანელობით, მოხდა სასწავლო პრო-
ცესის რეორგანიზაცია, შეკეთდა სასწავლო კორპუსი, გამდიდრდა უნი-
ვერსიტეტის წიგნადი ფონდი, შეძნილი იქნა 73 კომპიუტერი. განათლე-
ბის რეფორმის შესაბამისად, განახლდა სასწავლო პროგრამები, შედგა
სილაბუსები, არჩეულ იქნა აკადემიური საბჭო, რომელმაც 2006 წლის
23 აგვისტოს ნუგზარ ებანოიძე აირჩია უნივერსიტეტის რექტორის თა-
ნამდებობაზე. შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, უნივერ-

სიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური, ფაკულტეტების გაერთიანების შეჯვალი, იქმნა ორი: 1. სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის და 2. სუბტროპიკული კულტურებისა (მექანიზაციის და ტექნოლოგიის). ჩამოყალიბდა სტუდენტთა თვითმმართველობა. შეიქმნა რექტორის აპარატი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახური. მისი ხელმძღვანელობით უნივერსიტეტმა მიიღო აკრედიტაცია. მისი რექტორობის პერიოდში ჩატარდა სამი საერთაშორისო კონფერენცია.

2006 წლის მაისში გაფორმდა ხელშეკრულება უკრაინის ქ. სუმის ეროვნულ აგრარულ უნივერსიტეტთან.

ნუგზარ ებანოიძეს გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერო მეთოდური ნაშრომი, მათ შორის: 1 მონოგრაფია, 12 გამოვლება და პატენტი. 4 მეთოდური მთითება და 83-ზე მეტი სამეცნიერო სტატია და შრომა.

2009 წლის 5 იანვარს ნუგზარ ებანოიძემ გამომდინარე საქართველოს კანონიდან უძალლესი განათლების შესახებ ასაკობრივი ცენზის გამო დატოვა რექტორის თანამდებობა. 2009 წლის 1 ოქტომბრიდან უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია.

როლანდ კოპალიანი



2009 წლის იანვრიდან სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა პროფესორი როლანდ კოპალიანი. 2009 წლის 10 აპრილს უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ პროფ. რ. კოპალიანი ერთხმად აირჩია რექტორის თანამდებობაზე.

როლანდ კოპალიანი დაიბადა 1957 წლის 15 მარტს ოჩამჩირის რაიონის სოფელ არადუში. 1963-1973 წლებში აქვე სწავლობდა საშუალო სკოლაში. 1974 წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სუბ-

ტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე, რომელიც დამთავრა 1979 წელს სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით.

1982-1985 წლებში იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეჩაიერის კათედრის ასპირანტი. საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა 1986 წელს.

1986-1991 წლებში მუშაობდა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეჩაიერის კათედრის ლაბორანტად, უფროს ლაბორანტად, უმცროს მეცნიერ-მუშაკად.

2004 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.

1991-2006 წლებში იყო საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის მეჩაიერის კათედრის ასისტენტი, დოცენტი, პროფესორი.

2005 წელს დაინიშნა რექტორის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილედ, ხოლო შემდგომში აკადემიური საბჭოს მიერ არჩეულ იქნა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელად. ამ პერიოდში გადახალისდა პროგრამები და სილაბუსები.

2008 წელს აირჩიეს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. იყო სუბტროპიკული მეურნეობის, ეკონომიკისა და ტურიზმის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

2009 წელს აირჩიეს საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის უნივერსიტეტის რექტორად, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარედ და სრულ

პროფესორად. მისი რექტორობის ხანმოკლე პერიოდში გარემონტდა სასწავლის კორპუსები, აუდიტორიები, დერეფნები. ნულოვან სართულაზე მოწყობილი ლაბორატორიები. გაუმჯობესდა მატერიალური – ტექნიკური მდგრადი მუშაობა.

2011 წელს აირჩიეს აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტად. იმავე წელს სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სასწავლის უნივერსიტეტის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიერთების გამო დაინიშნა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილედ.

ბატონი როლანდ კოპალიანი არის აფხაზეთის ომის მონაწილე. მსახურობდა კორპუსის შტაბში პირად შემადგენლობასთან მუშაობის განყოფილების გამგედ.

პროფესორი როლანდ კოპალიანი არის 84 პუბლიკაციის ავტორი. მათ შორის: 1. მონოგრაფია, 4 მეთოდური მითითება და 4 სახელმძღვანელო. მათ შორის აღსანიშნავია: 1. ჩაის კულტურების რეაბილიტაციის მეცნიერეული საფუძვლები, თბილისი, 2003; 2. სუბტროპიკული მეზილეობა, ქუთაისი, 2010; 3. საქართველოში კულტივირებულ მცენარეთა სამკურნალო თვისებები, ქუთაისი, 2011; 4. მეჩაიობა, ქუთაისი, 2013.

როლანდ კოპალიანი უნივერსიტეტის ერთ-ერთი გამორჩეული რექტორი გახლდათ, რომელსაც ძალა და ენერგია არ დაუშურებია, რომ ამ საკმაოდ მტკიცნეული ისტორიის მქონე უმაღლესი სკოლის მთელ კოლექტივს, თითოეულ სტუდენტს საუკეთესო პირობები ჰქონოდა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისა და წარმატებების მისაღწევად.

551. რესურსების და ლიტერატურა:



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქივი, ფონდი № 97, საქმე №61; №476; №1786; №1789; №5356; №17142; №18925; №18933.

აროშიძე ზ. სტუდენტთა ყოველდღიური გაზეთი „საბჭოთა პედაგოგია“. გაზეთი „ქუთაისი“. 27 მარტი, 1963.

ბასილაძე ი. პედაგოგიური ფაკულტეტი. წარსული, აწყვი, მომავალი. ქუთაისი, 2012.

ბრეგაძე დ. ნადირაძე ბ. მეცნიერი, პედაგოგი. კ. მემკველიას დაბადების 70 წლისთავის გამო. გაზეთი „ქუთაისი“. 22 ოქტომბერი, 1977.

გაბუნია გ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სათავეებთან. ქუთაისი, 2005.

გაბუნია გ. გურეშიძე დ. ვაჟრიძე პ. მჭედლიძე გ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი- 50. თბილისი, 1985.

გურეშიძე დ. ქველმოქმედება საქართველოში. ქუთაისი, 1993.

გაზეთი „დიოსკურია“. № 45, 2007.

გაზეთი „მამული“, № 21, 1990.

ეფრემიძე თ. გრიგოლ ხაჯალია და მისი გარემოცვა. ქუთაისი, 2000.

ისტორიკოსთა რეკვიემი. რედაქტორ-შემდგენელი გ. მჭედლიძე. ქუთაისი, 2003.

კილასონია გ. ებანოიძე ნ. კოპალიანი რ. მიქელაძე ა. მჭედლიძე მ. ჩანტლაძე ზ. ჩიქოვანი ნ. ჭაბუკიანი რ. საქართველოს სუბტროპიკული მუურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 2009.

კვიკვინია ლ. ხსოვნის უკვდავება. წიგნი III. ქუთაისი, 2002 წ.

კუჭუხიძე ი. გოლეთიანი რ. ცნობილი მეცნიერი. ფილოსოფიური ძიებანი (კრებული XV), საქართველოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემია. თბილისი, 2011.

მანგალაძე ნ. გაბრიაძე დ. ბრეგაძე ვ. ლუკა ჭელიძე (1904–1976), ცხოვრება და სამეცნიერო პედაგოგიური მოღვაწეობა. თბილისი, 1982.

მიქაელ ალ. ხსოვნა კეთილი კაცისა (კ. მემკველიასი). ქუთაისი, 1986.

მჭედლიძე გ. ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი-50. წერილი პირველი. გაზეთი „ქუთაისა“, 14. XII, 1983; წერილი მეორე 15 XII 1983; წერილი მესამე. 18. XII. 1983.

მჭედლიძე გ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ქუთაისი, 1998.

მჭედლიძე გ. სათავებიდან დღევანდელობამდე. ქსუ-ს „შრომები“, I, 1998.

მჭედლიძე გ. წერილები გამოჩენილ ადამიანებზე. რეცენზიები. ქუთაისი, 2012.

მჭედლიძე გ. გაბუნია გ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კრებული. ქუთაისი, 2000.

ნიკოლეიშვილი ავ. მჭედლიძე გ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 65 წლისაა. მეცნიერების აღორმინების ფონდ „ინტელექტის“ სამცნიერო შრომების კრებული, №2, 1998.

ქურნალი „რევოლუციის მატიანე“, № 1, 1928.

ქურნალი „სარკმელი“. სპეციალური გამოშვება, 2003.

ქურნალი „გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი“. ქუთაისი, №1, 1996.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქივი, ფონდი № 6, საქმე № 34.

ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი 1933-1983, ბუკლეტი(ტექსტის ავტორი გ. მჭედლიძე). ქუთაისი, 1983.

შველიძე ზ. თბილისის უნივერსიტეტის პირველი კომუჯრედი (1918-1921). თბილისი, 1968.

შინაგან საქმეთა სამინისტროს (ყოფილი პარტიული) არქივი, ფონდი №14, აღწერა № 8, საქმე №8, საქმე №12; აღწერა № 9, საქმე № 132, №145, №146. ფონდი №16, აღწერა №3, საქმე № 70. ფონდი №18, აღწერა №1, საქმე № 623. ფონდი №121, აღწერა №1, საქმე № 349. საქმე №9894, სამუშაოს სხდომის ოქმი № 43, 45, 61, 65, 76.

ჭელიძე ლ. პედაგოგიური კადრების სამჭედლო. ქუთაისის პედინსტიტუტის 25 წლისთავის გამო. გაზ. „სახალხო განათლება“. 16 აპრილი 1958.



შესავალი.	
ლენდორ რესეპცი.	14
დავით გვარავა.	18
ალექსანდრე (სახ) კუკავა.	21
დავით დოლიძე.	25
ნესტორ მაკვაბიშვილი.	27
ლენა კალიძე.	29
ივანე (კარო) გომახეთიშვილი.	37
აონიშერიძე მაცხალი.	40
გიორგი (გიგი) ჩხეიძე.	44
ოთარ გაურაძე.	47
ნალი ააკარიძე.	52
მაგალი თოლეა.	59
ავთაშეილ ნიკოლეიშვილი.	66
გიორგი ონიანი.	73
გიორგი ლავთაძე.	78
 ქათაისის ნეაო მასხალიშვილის სახელობის	
სახელმწიფო ტაძრისარი ენიცენტრი.	86
ნოდარ ვალიშვილი.	86
ალექს კოსტავა.	90
ავთა ხვადაგიანი.	93
 სოხუმის საბჭოობრივი მართვის	
სასწავლო ცენტრის მიმღები.	95
გიორგი გოლიათიანი.	95
ივანე გიორგეგარიძე.	98
ლევაზ ჩხეიძე.	101
ნაკოლეონ ჭარუაშვილი.	103
ვახტანგ ფრიულიძე.	106
გარეა აილასონი.	107
ნაზარ კასანდრიძე.	109
ორლადე ჰოკალიანი.	111
შესაბამის და ლიტერატურა.	113

15/1925



ნიგნი დაბეჭდია აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბაში

ნაბეჭდი ფორმა 8

ტირაჟი 200

F 105. 117
3
02036944
2023-09-09-09-00

W. H. D. B. 1933

1960 5?
5 oženek.
11. října 1960 v Českých

Adams, McCabe 20 o. fortis